

გრემოლ რობაკიძის სახელობის
უნივერსიტეტი

GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

Students' International Scientific Conference

თეზისები

Abstracts

თბილისი

TBILISI

2016

30 მაისი, 2016 წელი

May 30, 2016

სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

Students' International Scientific Conference

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

© Grigol Robakidze Unuversity Press

სარჩევნო
Content

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექცია	12
Section of Humanities	12

მარიამ კებაძე
ევროპეიზმი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში
Mariam Kedadze
Europeanism in Al. Chavchavadze's Life and Creativity Work

ირაკლი ფერაძე
ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა შუა საუკუნეების საქართველოში
Irakli Peradze
Women's Cultural and Educational Activities in Medieval Georgia

ნატო გოლიაძე
ილია ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ
Nato Goliadze
Iliia Chavchavadze about the Georgian Language

რატი გაგოშიძე
აისბერგის პრინციპი ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედებაში
Rati Gagoshidze
Iceberg Principle in Ernest Hemingway's Literary Work

ნატია ოქრუაშვილი
განცდა-მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულში
Natia Okruashvili
Feeling-Condition Designating Phraseological Units in Kartluri

სალომე ღავთაძე
თემატური პარალელიზმი
Salome Ghavtadze
Thematic Parallelism

ანანო ყალიჩავა
ღმერთი და მისი ახსნა ანტიკური დროის ზოგიერთი ფილოსოფოსის ნააზრევში
Anano Kalichava
God and Its Interpretation in the Thinking of Some Philosophers of Ancient Times

მარიამ კალაძე

მედეას სახის ვარიაციები სახვით ხელოვნებაში (ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე)

Mariam Kaladze

Variations of Medea in Fine Art (from Antiquity to Modernity)

მარიამ ოდიკაძე

აპოზიოპეზისის (თხრობის შეწყვეტა) ახალი სახეობები

Mariam Odikadze

New Types of Aposiopesis (Break-in-the Narrative)

მარი მერებაშვილი

ისტორიული პირი და პერსონაჟი გრიგოლ აბაშიძის რომანში „ლაშარელა“

Mari Merebashvili

Historical Character in Grigol Abashidze's Novel "Lasharela"

ნათია ბოტკოველი

ზანური ნახესობები გურულ დიალექტში: მცენარეთა სახელები

Natia Botkoveli

Zanian Borrowings in the Gurian Dialect: Plant Names

ლინდა გიორგაძე

რუსული „თქმულება დინარაზე“ და თამარ მეფე

Linda Giorgadze

The Russian Tale of Queen Dinara and Queen Tamar of Georgia

იზოლდა ბეროშვილი

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ და ემილ ზოლას „ხაფანგი“

Izolda Beroshvili

Ilia Chavchavadze's "Is That a Man?!" and Emile Zola's "Trap"

რახმან ლაიშოვი

ზოგიერთი ასპექტი სწავლებასთან დაკავშირებით და პედაგოგის როლი მოსწავლეთა აღზრდაში

Rakhman Laishovi

Some Aspects Related to Teaching and a Teacher's Role in Pupils' Education

სოციალურ მეცნიერებათა სექცია

37

Section of Social Sciences

37

ნანა შანშიაშვილი, ქეთი შინდელიშვილი

ინტერნეტომენია

Nana Shanshiashvili, Ketevan Shindelishvili

Internetomenia

ნათია ლილუაშვილი, ხატია იმერლიშვილი

პოლიტიკური კულტურის ახალგაზრდული დისკურსი

Natia Liluashvili, Khatia Imerlishvili
Youth Discourse of the Political Culture

სალომე ოღაძე, თეკლე ორთოიძე
სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები
Salome Oghadze, Tekle Ortoidze
Specifications of Formation of State Economic Policy

მარიამ ცხადაძე, ალექსანდრე ეროიანი
ეკონომიკური ცვლილებები რუმინეთში ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ
Mariam Tskhadadze, Alexander Eroyan
Economic Changes in Romania after Accession in the EU

სალომე დაჭავაძე
კონფლიქტებზე დაკვირვება და მათი თავიდან აცილება
Salome Ghachava
Observing and Avoiding Problems

სანდრო ტაბატაძე
შიდაპარტიული დემოკრატიის ქართული პარადიგმები
Sandro Tabatadze
Georgian Paradigms of Intra-Party Democracy

თეიმურაზ ბეჟანიძე, ინგა ფუტკარაძე
ელექტრონული მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები
Teimuraz Bezhanidze, Inga Putkaradze
E-Governance in Georgia: Achievements and Challenges

ნუცა წამალაშვილი
ოტო ფონ ბისმარკის დიპლომატიამ შეძლო შეენარჩუნებინა ძალთა ბალანსი XIX საუკუნის ევროპაში
Nutsa Tsamalashvili
Otto von Bismarck's Diplomacy Maintained the Balance of Power in XIX Century Europe

თამარ მელიქიშვილი, ანა ლორტიყანიძე
თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები
Tamar Melikishvili, Ana Lortkipanidze
Equal Rights and Possibilities

ანანო ხუსკივაძე
სარკისებური ნეირონები
Anano Khuskivadze
Mirror Neurons

მარიამ ხარაძე

ეკომიგრაცია
Mariam Kharadze
Ecomigration

ქეთევან დავითური
მიუსაფარ ცხოველთა პრობლემის ასახვა ქართულ მედიაში
Ketevan Davituri
The Problem of Homeless Animal in Georgian Media

ლელა ჯავახიშვილი, ანა პაპიაშვილი
გენდერული უთანასწორობა საქართველოს შრომით ბაზარზე
Lela Javakhishvili, Ana Papiashvili
Gender Imbalance on Georgian Labor Market

სამართლის სექცია 61
Section of Law 61

მერი მაისურაძე –
შრომის არსებითი პირობა – შვებულება
Meri Maisuradze
Essential Condition of Labor – Leave

ლინდა ჩხიტუნიძე
ქორწინების ასაკი
Linda Chkhitunidze
Marriage Age

ნოდარ ჭიაბრიშვილი
*საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირების
სამართლებრივი საფუძვლების შედარება ევროპულ პრაქტიკასთან*
Nodar Chiabrishvili
*Comparison of Legislative Basis of Functioning of the Financial Monitoring Service of Georgia
with the European Practice*

ქეთევან ფილიევი
პერსონალურ მონაცემთა დაცვა
Ketevan Philiev
Protection of Personal Data

თამუნა ბერიძე, თამარ მიქელაძე
საკუთრების უფლების შეზღუდვის კერძო და საჯარო სამართლებრივი ასპექტები
Tamuna Beridze, Tamar Mikeladze
Public and Private Legal Aspects of Limiting Right to Property

თათია ნაჭყებია
საქორწინო ხელშეკრულების თავისებურებანი
Tatia Nachkebia
Peculiarities of Marriage Contract

გიორგი მამისაშვილი
სახელმწიფო მმართველობის ფორმები
Giori Mamisashvili
Forms of Governance

მარიამ გოგუა, მარიამ ბასილაძე
ქმედუნარიანობა, როგორც სამოქალაქო უფლებათა რეალიზაციის საშუალება
Mariam Gogua, Mariam Basiladze
Legal Capacity as the Means of Realization of Civil Rights

თათია ნაჭყებია
ტერორიზმის განვითარების ტენდენციები
Tatia Nachkebia
Terrorism Development Tendencies

ვალერი ხუციშვილი, დავით ტოროშელიძე
აბორტი, როგორც დაკანონებული მკვლელობა (სამართლებრივი ასპექტები)
Valeri Khutsishvili, Davit Toroshelidze
Abortion as a Legalised Homicide (Legal Aspects)

მალხაზ ჯანიაშვილი
ვადავადაცილებული საგადასახადო დავალიანებათა იძულებითი გადახდევინება
Malkhaz Janiashvili
Forced Payment of Delinquent Tax Debts

აიდა ნასიბკიზი
ნდერძისმიერი მემკვიდრეობის მნიშვნელობა და თავისებურებანი
Aida Nasibkizi
Features and Characteristics of Will (Heritage)

ქეთევან კილაძე
საცილო და უცილო გარიგებები
Ketevan Kiladze
Voidable and Void Deals

სოფიკო ჩიტიშვილი, თაია წიკლაური
რუსეთის მიერ ყირიმის დაკავების სამართლებრივი ანალიზი
Sopiko Chitishvili, Taia Tsiklauri

ეკონომიკისა და ბიზნესის სამსახური
Section of Economics and Business

84

84

რუსუდან ტარტარაშვილი

რელიგიური ტურიზმის განვითარების თავისებურებანი ისტორიულ პერეტიში (საინგილო)

Rusudan Tartarashvili

Peculiarities of the Development of Religious Tourism in Historical Hereti (Saingilo)

მარიამ წვერიანაშვილი

უძრავი ქონების ეკონომიკა, სიმდიდრე და გამოუყენებელი ქონებრივი სიკეთე

Mariam Tsverianashvili

Real Estate Economics, Wealth and Unutilized Property

იულია კოზლოვსკა

პოლონეთის საფონდო ბირჟა

Julia Kozłowska

The Stock Market in Poland

მარიამ ლეკიაშვილი, ანა ურუშაძე

კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

Mariam Lekiasvili, Ana Urushadze

Private Property and Economic Freedom

ნიკა კოღუა

ახალი საჯარო მენეჯმენტის პარადიგმა საქართველოში

Nika Koghua

Paradigm of New Public Management in Georgia

ნინო ესიავა

აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და საქართველო

Nino Esiava

US-EU Free Trade Agreement and Georgia

მამუკა ოქროპირიძე

ეკონომიკური ურთიერთობები კავკასიის სახელმწიფოებს შორის

Mamuka Okropiridze

Economic Relations among Caucasus States

სალომე წულაძე

არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები და მათი განვითარების ტენდენციები საქართველოში

Salome Tsuladze

Non-bank Financial Operations and the Tendencies of Their Development in Georgia

მარიამ ხაჩიძე

ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოს საბანკო სისტემაზე

Mariam Khachidze

The Impact of the Financial Crisis on the Georgian Banking System

ნათია მჟავია

აბრეშუმის გზა და საქართველო

Natia Mzhavia

Silk Road and Georgia

ლანა რატიანი

ყავის ბაზრის მარკეტინგული კვლევა

Lana Ratiani

Research of Coffee Market

ნინო ჭანტურია

როდის გავყიდოთ წარმატებით ბიზნესი?

Nino Tchanturia

When to Sell Business Successfully

ლიზა გიორგაძე, გიორგი მეშველიანი

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი გადაჭრის გზები

Liza Giorgadze, George Meshveliani

Unemployment Issues in Georgia and the Ways to Solve the Problem

ქეთი ხელაძე

ღვინის ტურიზმი საქართველოში

Keti Kheladze

Wine Tourism in Georgia

ნუცა ჩხეიძე

საერთაშორისო მიგრაცია, რომელიც სამშობლოდან იწყება

Nutsa Chkheidze

International Migration which Starts from Home

ავთანდილ ალფაიძე

შამპანურის ბაზრის მარკეტინგული კვლევა

Avtandil Alpaidze

Research of Champagne Market

ქრისტინე საჩატუროვა

მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების თავისებურებები

Kristine Khachaturova

Peculiarities of the Development of Micro and Small Businesses

ნინო ჩხვირკია

ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისათვის

Nino Chkhvirkia

Developing Tourism Marketing Strategy for Samegrelo-Zemo Svaneti Region

მედიცინის სექცია

114

Section of Medicine

114

ეკატერინე შუბითიძე

დენტალური იმპლანტაციის შესაძლებლობები

Ekaterine Shubitidze

Dental Implantation Opportunities

მირანდა მინაძე, ლაურა ნაგერვაძე

პირის ღრუს ჰიგიენა

Miranda Minadze, Laura Nagervadze

Oral Hygiene

დავით ყურაშიძე, გურამ ნიპარიშვილი

ღვიძლის ჰისტოლოგიური თავისებურებანი და C ჰეპატიტი

David Kurashidze, Guram Niparishvili

Liver Histopathology and Hepatitis C

მარიამ ბაისონაშვილი

სტრესი და სტრეს ფაქტორები

Mariam Baisonashvili

Stress and Stress Factors

თამარ ურუშიძე

მძიმე ინფექციისა და სეფსისის მკურნალობის თანამედროვე ანტიბაქტერიული მონოთერაპიის დახასიათება: მერონემით (მეროპენემი) მკურნალობის თავისებურებები

Tamar Urushadze

Treatment of Acute Infections and Sepsis with Modern Monotherapy of Antibiotic: Peculiarities of Treatment with Meronem (Meropenem)

სალომე ივანიძე

აცრების დადებითი და უარყოფითი მხარეები

Salome Ivanidze

Positive and Negative Sides of Vaccination

ალექსანდრე ცოტნიაშვილი, გიორგი ნადირაშვილი
ჰაერის და ბინძურება და მისი შედეგები
Aleksandre Tsotniashvli, Giorgi Nadirashvili
Air Pollution and Its Results

მარიამ აფშილავა
ინტელექტის პროგრესირებადი დაქვეითება
Mariam Apshilava
Progressive Decline of Intellect

ნინო ზუკაკიშვილი
სიბერე
Nino Zukakishvili
Aging

ნინო იაკობიშვილი
კბილის კარიესი და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობები
Nino Iakobishvili
Tooth Caries and the Conditions of Its Development

მარიამ მოისწრაფეშვილი
კბილების გაძნელებული ამოჭრა
Mariam Moistsrapeshvili
Complications while Teeth Eruption

ქეთი ჩხაიძე, ქეთევან კობახიძე
ანტიბიოტიკები და მათი უსისტემოდ გამოყენებისგან მომდინარე საფრთხეები
Keti Chkhaidze, Ketevan Kobakhidze
Antibiotics and Threats of their Irrational Use

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექცია
Section of Humanities

მარიამ კებაძე
საქართველო
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგია
ბაკალავრიატი, IV სემესტრი

ევროპეიზმი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

ხელმძღვანელი – პროფესორი **თამარ გოგოლაძე**

1. ძველი ქართული მწერლობა საუკუნეების მანძილზე კულტურულ პოლიტიკური თუ მეზობლური ურთიერთობების საფუძველზე, განიცდიდა სხვადასხვა სახელმწიფოთა (ბიზანტია, არაბეთი, ოსმალეთი ირანი) ლიტერატურისა თუ კულტურის ზეგავლენას. ეს პროცესი კარდინალურად იცვლება XIX საუკუნიდან, როდესაც ქართველი მწერლები (სასწავლებლად, სამსახურებრივად) უკავშირდებიან რუსეთსა და ევროპას, კითხულობენ უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს ორიგინალში და თარგმნიან ზოგიერთ მათგანსაც.

2. ევროპეიზმის ერთ-ერთი პირველ დამამკვიდრებლად ქართულ კულტურაში გვევლინება ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) ალექსანდრე ჭავჭავაძე. თარგმნის ვოლტერსა და ჰიუგოს, ფრანგი კლასიციზტების დრამებს, შემოაქვს ქართულ სინამდვილესში ევროპული ყოფის ელემენტები და აღმოსავლური მოტივების პარალელურად ამკვიდრებს, ავითარებს ევროპულ კულტურასა და აზროვნებას თავის შემოქმედებაში.

Mariam Kebadze
Georgia
Gori State Teaching University
Georgian Philology
Bachelor's programme, IV semester

Europeanism in Al. Chavchavadze's Life and Creativity Work

Scientific supervisor – Professor **Tamar Gogoladze**

1. Old Georgian writing over the centuries based on the cultural – political or neighborly relationship was influenced by literature and culture of variety of countries (Byzantium, Arabia, Ottoman Empire, Iran). This process drastically changed from XIX century, when works of Russia

and European writers became available for Georgians. At this time Georgian writers began to read and translate their masterpieces.

2. One of the first founders of Europeanism in Georgian culture is Aleksandre Chavchavadze (1786-1846). Aleksandre Chavchavadze translated Voltaire and Hugo, dramas of French classicists, brought European elements to Georgian reality and in parallel lines with oriental motifs, developed European cultural traits and thinking in Georgian literature.

*ირაკლი ფერაძე
საქართველო
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
შუა საუკუნეების კვლევები
მაგისტრატურა, IV სემესტრი*

ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა შუა საუკუნეების საქართველოში

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მანანა ჯავახიშვილი

1. ქართველი ქალი შუა საუკუნეების საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც აქტიურად იყო ჩართული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ქალის ასეთი აქტიური ცხოვრება ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში განპირობებული იყო მისი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წყაროები მხოლოდ წარჩინებული ქალის შესახებ გვაძლევენ ინფორმაციას, ჩვენ ფაქტობრივად არ გვაქვს წყარო, რომლითაც შევძლებთ დაბალი სოციალური ფენის ქალთა შესახებ საუბარს.

2. საისტორიო წყაროებმა (ნარატიული თუ ეპიგრაფიკული) მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა ქალთა მონაწილეობითა თუ თაოსნობით აგებული ეკლესია-მონასტრების, სწავლა-განათლების ხელშეწყობის, მწიგნობართა კადრების მომზადების, ხელნაწერთა გადაწერისა თუ აღდგენის შესახებ. სწორედ „ქართლის ცხოვრების“ ორი უძველესი ხელნაწერი ქართველი დედოფლების დავალებითაა გადაწერილი.

3. საქართველოში წერა-კითხვასა და დაწყებით განათლებას მომავალი თაობა უმთავრესად დედის ხელმძღვანელობით იძენდა. გვიანი შუა საუკუნეების ევროპელი მოგზაურების შენიშვნით სწორედ ქალებმა შემოინახეს წერა-კითხვა და განათლება (ლამბერტი, ტურნეფორი). ამრიგად, ქალისათვის ჩვენში კულტურული მოღვაწეობისათვის არცერთი ასპარეზი ხელმიუწდომელი არ ყოფილა. საქართველოს ისტორიამ მრავლად შემოგვინახა ქალი პოლიტიკოსის, დიპლომატის, საზოგადო მოღვაწის და სხვა ქალთა სახელები.

Irakli Peradze
Georgia
Ilia State University
Medieval Studies
Master's programme, VIII semester

Women's Cultural and Educational Activities in Medieval Georgia

Scientific supervisor - Associate Professor **Manana Javakhishvili**

1. Georgian women were actively involved in cultural and educational activities in Medieval Georgia and abroad. Such high involvement of women in feudal society was provided by their full-fledged membership of society. However, these sources provide us with information that are only about noble women. We actually do not have sources which could say more about women's low social class.

2. Historical sources (narrative and epigraphic) give us important information about women's participation and leadership in building churches and monasteries, learning, education, training scribes, copying manuscripts or restatement. Exactly two ancient manuscript of "Kartlis Tskovreba" (History of Georgia) are rewritten under the commission of Georgian queens.

3. At that time every single generation gained reading and writing skills and obtained elementary education under the supervision of their mothers. Late Medieval European travelers said that women played very important role in preserving literacy and education (Lambert, Turnefory). Thus, cultural activities were available for women in Medieval Georgia. Georgian history has preserved many successful female names who made crucial contribution to Georgian politics, diplomacy, public life, etc.

ნატო გოლიაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინგლისური ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VI სემესტრი

ილია ჭავჭავაძე ქართული ენის უმსახეპე

ხელმძღვანელი – პროფესორი **დარეჯან სირია**

1. ილია ჭავჭავაძე იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული ცნობიერების განვითარებაში. მას საზოგადოება იცნობს, როგორც მრავალმხრივ მოღვაწეს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტიკა. პუბლიცისტურ წერილებთან პირველი შეხებისთანავე მკითხველს ატყვევებს ავტორის მრავალმხრივი და ღრმა ერუდიცია, ფართო თვალსაწიერი და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარი. არ დარჩენილა იმუამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი სფერო, რომელშიც ილიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას.

2. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ილია ჭავჭავაძის ქართული ენისადმი მიძღვნილი ის წერილები, რომლებშიც მწერალი აანალიზებს ქართულ ენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. მთავარ პრობლემად ილია ჭავჭავაძე ენის დაბინძურებას მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ყველა შემოქმედმა უნდა გაითავისოს ენის სიწმინდის საკითხი, თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ კუთხური მეტყველება ის საგანძურია, რომელიც სალიტერატურო ენას მუდმივად კვებავს და ასაზრდოებს. ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძე სწორად ხედავს და აანალიზებს პრობლემებს, რადგან, მისი აზრით, ენა იმ ღირებულებათაგანია, რომელიც მენტალურ ურყეობას განაპირობებს.

Nato Goliadze
Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
English Philology
Bachelor's programme, VI semester

Ilia Chavchavadze about the Georgian Language

Scientific supervisor – Professor **Darejan Siria**

1. Ilia Chavchavadze is among the writers who made a great contribution to developing Georgian consciousness. Society knows him as a multi-faceted figure, but his publicistic writing is also very important. Reading the articles, the reader is immediately attracted with the author's multilateral and deep erudition, wide vision and the special ability to analyze the events. There is no significant field of public life of that time Ilia did not express his qualified opinion about.

2. The presented paper focuses on the letters Ilia Chavchavadze dedicated to the Georgian language, in which the writer analyzes different issues, regarding the Georgian language. Ilia consider pollution of language as the main problem and thinks that every writer must be aware of the language purity. He also mentions that provincial speaking is the treasure which constantly feeds the literary language. We believe that Ilia Chavchavadze sees and analyzes problems correctly, because in his point of view language is among the values which cause mental stability.

რატი გაგოშიძე
საქართველო
გრიგოლრობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი
ინგლისურ ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VIII სემესტრი

აისბერგის პრინციპი ერნესტ ჰემინგუეის ზემოქმედებაში

ხელმძღვანელი – პროფესორი ნინო ქემერტელიძე

“თუ მწერალმა კარგად იცის რისი დაწერა უნდა, მას შეუძლია გამოტოვოს ის, რაც მან იცის. აისბერგის მოძრაობის ღირსებაც ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მისი მხოლოდ ერთი მერვედი მოსჩანს წყლის ზედაპირზე. . . ჩემი მიზანია უმარტივესი გზით გადმოვიტანო ფურცელზე ის, რასაც ვხედავ და ვგრძობ” – ერნესტ ჰემინგუეი

1. ერნესტ ჰემინგუეის ჟურნალისტურმა გამოცდილებამ და განათლებამ მის სტილზე და ენაზე დიდი გავლენა იქონია. აღსანიშნავია, რომ მისი წინადადებების მარტივი წყობა და სტილის უბრალოება, ასევე გულწრფელობა, რომელიც მის ნაწარმოებშია, მომხიბვლელია მკითხველისთვის, მაგრამ ამ სიმარტივის უკან იმალება ემოციებისა და იდეების ოკიანე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელია მკითხველისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ჰემინგუეის ენა და სტილი მის არაჩვეულებრივ ნაწარმოებს - „მოხუცი და ზღვას“ ჰგავს, მკითხველი კი სანტიაგოს, რომელიც დიდი თევზის ძებნაში მიყვება წყნარ ტალღებს და მოულოდნელად აღმოაჩენს იმ უზარმაზარ თევზს რასაც ჰემინგუეის სიბერე შეიძლება ეწოდოს.
2. ჰემინგუეს ნაწარმოებები ერთი შეხედვით მარტივი წასაკითხი და აღსაქმელია მაგრამ მის ქვეშ იმალება ის იდეა რომელიც არასოდეს არ ჩანს ზედაპირზე. სწორედ მის ნამუშევრებს შეეფერება ტერმინი აისბერგი როგორც სიმბოლო დაფარულის და დამალულის.
3. ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოებები ახლოსაა მის ცხოვრებასთან; სწორედ ეს ხდის მათ შეუდარებელს. მკითხველი კითხულობს მხატვრული ენით გაფორმებულ მწერლის ცხოვრებას, რაც აძლევს მას საშუალებას შეიგრძნოს ის ემოციები, რასაც განიცდიდა მწერალი თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე.

Rati Gagoshidze
Georgia
Grigol Robakidze University
English Philology
Bachelor's programme, VIII semester

Iceberg Principle in Ernest Hemingway's Literary Work

“If a writer knows enough about what he is writing about, he may omit things that he knows. The dignity of movement of an iceberg is due to only one ninth of it being above water... My aim is to put down on paper what I see and what I feel in the best and simplest way” – Ernest Hemingway

1. Ernest Hemingway's journalistic experience and education had a great impact on his language and style. The simplicity of sentences and the style he uses as well as his sincerity fascinates readers. It is noteworthy that the great “ocean” of emotions and ideas are hidden namely beyond this simplicity which in most cases is not comprehensible for readers. Hemingway’s language and style can be compared to his wonderful novel “The Old Man and the Sea” and a reader - to Santiago who, while seeking for a big fish follows quiet waves and suddenly finds that huge fish what can be called Hemingway's age.
2. At the first glance, Hemingway's literary work is easily read and understandable, but the hidden idea is never seen on the surface. I think that the term “iceberg” suits namely his literary work as a symbol of something hidden and not obvious.
3. Ernest Hemingway's literary work is close to his life; namely this fact makes them amazing and incomparable. While reading Hemingway’s novels and stories, the reader vividly feels the emotions that the writer experienced at different stages of his life.

*ნათია ოქრუაშვილი
საქართველო
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგია
მაგისტრატურა, IV სემესტრი*

განცდა-მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულურში

ხელმძღვანელი – პროფესორი **მარიამ კობერიძე**

1. ენაში არსებული სიტყვათა მარაგი ქმნის ენის ლექსიკას. სხვადასხვა ენაში გარდა სიტყვათა ვრცელი მარაგისა არსებობს, ისეთი მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა.
2. ფრაზეოლოგიზმებით მოქმედს შეუძლია გამოხატოს სხვადასხვა განცდა-მდგომარეობა. მოსხენებაში წარმოვიდგენთ განცდა-მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს ქართულური დიალექტის მიხედვით.

3. ქართულურში ფრაზეოლოგიზმებით შეგვიძლია გამოვხატოთ შემდეგი განცდამდგომარეობა: **სიყვარული**: „გულზე აბია” - ძალიან უყვარს; **შური**: „თვალებიდან ვეძა ამოსდის” - შურს, ესარბება; **გაბრაზება**: „კუწუმწრახი მოედება” - გაბრაზდება; **მწუხარება**: „მღულრით არის” - ძალიან მწუხარება, და სხვ.

4. ზოგჯერ ერთსა და იმავე განცდამდგომარეობის აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიზმს სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს, მაგ.: „**თქვენი ვარდი გეფინოთ**” - 1) ეტყვიან სასიამოვნო ამბის მოქმელს; 2) დალოცვა, იტყვიან არასასიამოვნო ამბის თქმის დროს. „**პირქუ დასაგუბებელი**” - 1) წყევლაა, იტყვიან გაბრაზების დროს; 2) ზოგჯერ ქართულში ეტყვიან ხუმრობით.

5. ქართული დიალექტი ფრაზეოლოგიზმებით მდიდარი და მრავალფეროვანია. ამის ერთ-ერთი მაგალითი ისიცაა, რომ აქ ვხვდებით უამრავ სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმს, მაგ.: „**გულს დაიამინებს**” - „**გულს გულის ალაგს დაიდებს**” - დაწყნარდება, დამშვიდდება.

Natia Okruashvili

Georgia

Gori State Teaching University

Georgian Philology

Master's programme, IV semester

Feeling-Condition Designating Phraseological Units in Kartluri

Scientific supervisor – Professor **Mariam Koberidze**

1. The stock of words existing in the language creates vocabulary. In different languages, besides extensive vocabulary, there are such bound collocations that are rather expressive and emotional.

2. A speaker can express different feelings and conditions with phraseological units. The paper discusses semantic diversities and peculiarities of feeling-condition designating phraseological locutions according to the Kartluri dialect.

3. In Kartluri we can express the following feeling-conditions: **Love**: “**Gulze abia**” – loves very much, is craze about; **Envy**: “**Tvalebidan vedza amosdis**” - envies, is too greedy; **Anger**: “**Kutsumtsrakhi moedeba**” - will get angry; **Sorrow**: “**Mdughrit aris**” – is in grief, etc.

4. Sometimes, the same feeling-condition designating phraseological units have different semantic loading depending on the situation; for example: “**Tqveni vardi gefinot**” – 1) is said to a person informing good news; 2) blessing, uttered while telling something unpleasant. “**Pirqu dasagubebeli**” - 1) curse, is uttered while being angry; 2) sometimes in Kartli is said jokingly.

5. Kartluri dialect is rich with the phraseological units. A lot of synonymous phraseological locutions can serve as one of the examples; for instance: “Guls daiaminebs” – “Guls gulis alags daidebs” - will calm down.

*სალომე ღავთაძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ინგლისურ ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

თემატური პარალელიზმი

ხელმძღვანელი – პროფესორი ნინო ქემერტელიძე

1. პარალელიზმი, ანუ პარალელური კონსტრუქცია (სიმეტრია) სინტაქსური სტილისტიკური ხერხია, რომელიც გულისხმობს ერთნაირი წევრების ერთგვარ განლაგებას ორ, ან მეტ ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში. პარალელიზმის აუცილებელი პირობაა გრამატიკულად იდენტური კომპონენტების, ან მსგავსი კონსტრუქციის, ბგერის, ან მნიშვნელობის მქონე ელემენტების გამოყენება ორ და მეტ წინადადებაში, ან წინადადების თანმიმდევრულ ნაწილებში. პარალელიზმი ხშირად გამოიყენება არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ აგრეთვე ჩვეულებრივ საუბარშიც. პარალელური სტრუქტურების გამოყენება წერისას, თუ საუბრისას შესაძლებლობას აძლევს მწერალს, ისევე როგორც მოსაუბრეს, შეინარჩუნოს აზრთა თანმიმდევრობა და გადმოსცეს იდეების დაბალანსებული ნაკადი.

2. პარალელური კონსტრუქციების ტიპები: ნაწილობრივი და სრული.

- ნაწილობრივია პარალელიზმი, თუ ნაწილი კონსტრუქციებისა არის იდენტური.

“It is the mob that labour in your fields and serve in your houses – that man your navy and recruit your army, - that have enabled you to defy all the world, and can also defy you when neglect and calamity have driven them to despair.”

- სრულია პარალელიზმი იმ შემთხვევაში, თუ წინადადების (ან თანმიმდევრული წინადადებების) ყველა კონსტრუქცია მსგავსია. მას აგრეთვე დაბალანსებულ პარალელიზმსაც უწოდებენ.

“The seeds ye sow – another reaps,
The robes ye weave – another wears,
The arms ye forge – another bears.”

3. პარალელური კონსტრუქციების სახეობებად შეგვიძლია განვიხილოთ ქიაზმა, ანუ შებრუნებული პარალელური კონსტრუქცია და ანტითეზა. განსაკუთრებით აღსანიშნავია განსხვავება წმინდა პარალელიზმსა და ანტითეზას შორის. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, პარალელური კონსტრუქციები შინაარსობრივად აუცილებლად საპირისპირო უნდა იყოს.

4. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს პარალელიზმის ახალი სახეობის – თემატური პარალელიზმის შემოღება, რომლის განხილვაც მხოლოდ ტექსტის დონეზეა შესაძლებელი. ეს ის შემთხვევაა, როცა ნაწარმოებში ორი, ან მეტი მსგავსი ამბავი/მოვლენა პარალელურადაა აღწერილი, პარალელურად მიმდინარეობს. ხოლო, თუკი თემები ერთმანეთის საპირისპიროა, ეს უკვე თემატულ ანტითეზასთან შეიძლება გადაიკვეთოს.

Salome Ghvtdze
Georgia
Grigol Robakidze University
English Philology
Bachelor's programme, VIII semester

Thematic Parallelism

Scientific supervisor – Professor **Nino Kemertelidze**

1. Parallelism or parallel construction (symmetry) is a syntactic stylistic device which implies homogeneous arrangement of the same members in two or more consecutive sentences or clauses. The necessary condition in parallel construction is the use of components in a sentence that are grammatically the same or similar in their construction, sound and/or meaning. Parallel constructions are found not only in literary works, but are also freely used in ordinary conversations. The use of parallel structures in speech or writing allows speakers and writers to maintain a consistency within their work and create a balanced flow of ideas. Moreover, it can be employed as a tool for persuasion as well because of the repetition it uses.

2. The types of parallel constructions: partial and complete.

- Partial parallel arrangement is the repetition of some parts of successive sentences or clauses.

“It is the mob that labour in your fields and serve in your houses – that man your navy and recruit your army, - that have enabled you to defy all the world, and can also defy you when neglect and calamity have driven them to despair.”

- Complete parallel arrangement maintains the principle of identical structures throughout the corresponding sentences. It is also called balance parallelism.

“The seeds ye sow – another reaps,
The robes ye weave – another wears,
The arms ye forge – another bears.”

3. Chiasmus or reversed parallel contraction and antithesis can be considered as certain types of parallelism. Difference between pure parallelism and antithesis is noteworthy. In case of the latter, parallel constructions should necessarily be semantically opposite.

4. The novelty of the research is introduction of a new type of parallelism – the so called thematic parallelism what can be discussed only within the text i.e. on the text level. It is the case when two similar stories/facts/events are described in the parallel line. But if the themes are opposite, it can be considered as a thematic antithesis.

*ანანო ყალიჩავა
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინგლისური ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

ღმერთი და მისი ახსნა ანტიპოზური ღრმის ზოგიერთი ფილოსოფოსის ნააზრევში

ხელმძღვანელი – თამარ გელაშვილი

1. ჩვენი მიზანია, აღვწეროთ, თუ რა სახის ფილოსოფიურ პრინციპებსა და თეოლოგიურ პარადიგმებს ეყრდნობოდა ფილოსოფიური აზრი ღმერთსა და მის ბუნებაზე ანტიკურ დროში. სოკრატემდე ფილოსოფოსთაგან ქსენოფანე მკაცრად აკრიტიკებს ჰომეროსის თეოლოგიას. მისი აზრით, იგი თავის ნაწარმოებებში ღმერთებს მიაწერს ქურდობას, მრუშობას, სიცრუეს. თუმცა ეს ღმერთები იმდენად ჩამოჰგვანან ადამიანებს, რომ, ქსენოფანეს აზრით, მათი არსებობა მაინც დაუჯერებელია.

2. ქსენოფანეს მსგავსად, პლატონი „სახელმწიფოში“ მწარედ აკრიტიკებს ისტორიებს, რომლებსაც ჰომეროსი და ჰესიოდე ყვებიან ღმერთების შესახებ. მისი აზრით, იდეალურ სახელმწიფოში ასეთი მითები არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან ისინი სიმართლეს არ ლაპარაკობენ. სინამდვილეში ღმერთი უცვლელია და არც ვინმეს შეეყვანა სურს შეცდომაში. იგი კეთილი ძალაა და არავის ვნებს.

3. პლატონისაგან განსხვავებით, რომელიც აბსოლუტური სიკეთის იდეის გონებით მიუწვდომლობას ასწავლის, არისტოტელესთან გონებას ყველაფრის შემეცნება შეუძლია; იგი ღმერთს გონებასთან აიგივებს, რომელიც საკუთარი თავის შემეცნებითაა დაკავებული. ეგრეთწოდებული „აქტიური ინტელექტით“, რომელიც, არისტოტელეს აზრით, ღმერთსა და ადამიანებს საერთო აქვთ, ადამიანს ყველაფრის, თვით ღმერთის არსობრივი შემეცნება ძალუძს, ოღონდ ღმერთისაგან განსხვავებით, მას არ შეუძლია ამას გამუდმებით აკეთებდეს.

4. ანტიკური სამყაროს გავლენიანი ფილოსოფოსის, ეპიკურეს აზრით, ღმერთებს ადამიანები და მათი ცხოვრება არ აინტერესებთ, არ ზრუნავენ მათზე, არც სჯიან ვინმეს ცუდი ცხოვრების გამო და არც აჯილდოვებენ კეთილი საქმეების საპასუხოდ. მისი აზრით, სისულელეა ვიფიქროთ, რომ ღმერთებმა სამყარო ადამიანების გამო შექმნეს, რადგან არაფერში სჭირდებათ ჩვენი მადლიერება და ადამიანის გამოჩენას არც ფასეული სიახლის მოტანა შეუძლია მათთვის, რაც დაუსაბამო ნეტარების შემდეგ უეცრად ჩვენი გაჩენის სურვილს გაამართლებდა.

Anano Kalichava

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

English Philology

Bachelor's programme, VI semester

God and Its Interpretation in the Thinking of Some Philosophers of Ancient Times

Scientific supervisor – **Tamar Gelashvili**

1. The aim of the paper is to describe the main philosophical principles and theological paradigms that became the basis of a philosophical view about God and his nature in ancient times. One of the philosophers before Socrates, Xenophanes criticizes Homer's theology, because in his works Homer describes God as thief, having the habits of bluff, lechery, etc. These gods are like human beings. That is why their existence is unbelievable.

2. Like Xenophanes, Plato strictly criticizes stories about gods told by Homer and Hesiod. In his mind, such myths and stories must be banned in the ideal state, because they do not tell us anything about reality. God is unchangeable and want to mislead anyone; he is kind and never hurts anyone's feelings.

3. Unlike Plato, who teaches us that the idea of absolute kindness is inconceivable for human mind, Aristotle believes that it is exactly human mind that can perceive everything. For him, God and mind are the same and God is always attempting to perceive himself. According to Aristotle, God and human beings have something in common - so to say "active intellect", that makes it possible for us to perceive everything including God and his existence, but unlike God, man cannot do it continuously.

4. Epicurus was one of the powerful philosophers of ancient times. He thought that gods were not interested in the mankind and people's life; they did not take care of them, did not punish them and even did not reward them for kind actions. He deems that it is useless to think that gods created the universe for us, human beings, because they do not need our gratefulness; that we have nothing that could be desired and that could make our existence logical.

*მარიამ კალაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

**მედეას სახის ვარიაციები სახვით ხელოვნებაში
(ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე)**

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ნანა ტონია

*„მხატვრობა მდუმარე პოეზიაა, პოეზია კი მხატვრობაა, რომელიც მეტყველებს“
სიმონიდეს კოსმელი*

1. სწორედ ევრიპიდეს გენიალურმა ტრაგედიათა აამეტყველა მედეას სახე საუკუნეების მანძილზე შექმნილი სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე იქნება ეს ფერწერული ტილო, ფრესკა თუ ქანდაკება. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია მედეას გამოსახულებებმა ანტიკური პერიოდის ფრესკებსა და კერამიკულ ნივთებზე. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კალისტრატოსის არაჩვეულებრივი აღწერა მედეას ქანდაკებისა. მისი კითხვისას ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ანტიკური ეპოქა და ჩვენ შევდივართ მედეას მრისხანებითა და სევდით აღსავსე სამყაროში: „ვნახე მედეა, რომელიც ესოდენ ცნობილი იყო მაკედონიის მიწაზე. მარმარილო მისი სულის ბუნებაზე მიუთითებდა, რამეთუ შემოქმედის ხელოვნებამ გამოაქანდაკა ის, რითაც ივსებოდა მედეას სული. მარმარილოში აისახა მისი მისწერი ფიქრები, დაუმორჩილებელი ხასიათი; შეიგრძნობოდა მის სახეში მალული მწუხარებაც. ერთი სიტყვით, რაც ვიხილეთ, მისი ცხოვრების ტრაგედიაზე მეტყველებდა“. ვფიქრობთ, კალისტრატოსის ეს მოკლე მონახაზი ძალზე საინტერესოდ გადმოსცემს ევრიპიდესეული მედეას გმირის ბუნებას, მის ხასიათს.

2. ჩვენი მოხსენება მიზნად ისახავს, შეისწავლოს: 1. მედეას სახის ასახვა ანტიკური პერიოდის სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე; 2. მედეას მითოლოგიური ფიგურის ინტერპრეტირება მომდევნო პერიოდების დასავლეთ ევროპულ მხატვართა შემოქმედებაში, იქნება ეს რომანტიზმი, პოსტ-იმპრესიონიზმი, არტ-ნუვო თუ და სხვ. რაც ბუნებრივია გულისხმობს იმის კვლევას, თუ რა დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით წარმოაჩინა თითოეულმა მიმდინარეობამ მედეას სახე. ვფიქრობთ, საყურადღებო საკითხია ამა თუ იმ ეპოქაში მედეას სახის მიმართ საზოგადოების განწყობა; მედეას ფიგურის გააზრება ამა თუ იმ შემოქმედის მიერ სწორედ ეპოქის სოციალურ კონტექსტთან მიმართებით.

*Mariam Kaladze
Georgia*

Variations of Medea in Fine Art
(from Antiquity to Modernity)

Scientific supervisor – Associate Professor **Nana Tonia**

“Painting is silent poetry and painting is verbal poetry”
Simonides (c. 556 BC-c. 468 BC)

1. Actually, it was Euripides' genial tragedy that has become a role model for the rest artists of the world in the sphere of painting, sculpture of mural. Luckily, images of Medea on the frescos and ceramic works of the ancient period still exist today. The brilliant description of Medea's sculpture made by Kallistratos should also be mentioned. While reading it, we may vividly see an ancient world and we move to the Medea's own world, full of anxiety and despair: “I saw Medea, who was so famous in the land of Macedonia. Marble indicated on her inside world, because master's art reflected those peculiarities, that described Medea's nature: her mysterious thoughts, combating character. One would definitely find a hidden sadness in her face expression as well. To be short, everything that I have seen there, indicated on the tragedy of her life”. I think Kallistratos' short outline vividly tells us about the nature and temper of Medea written by Euripides.

2. The paper given above aims at researching the following: 1. Medea's images of fine art in Antiquity; 2. How Medea as a mythological figure was interpreted in western European artists and in different art movements, (e.g. Romanticism, Post impressionism, Art-Nouveau, etc.). That means to research the peculiarities in each movement of fine art. I think that public attitude toward Medea's face in different periods of time should be taken into consideration, as well as the understanding of the images of Medea by the creator, towards the social context.

მარიამ ოდიკაძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ინგლისურ ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VIII სემესტრი

აპოზიოპეზისის (თხრობის შეწყვეტა) ახალი სახეობები

ხელმძღვანელი – პროფესორი **ნინო ქემერტელიძე**

1. აპოზიოპეზისი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გაჩუმებას. აპოზიოპეზისი ანუ თხრობის შეწყვეტა სინტაქსური სტილისტიკური ხერხია, რომელიც შეიძლება

განგაზღვრით, როგორც მეტყველების ფიგურა, რომლის გამოყენებითაც მწერალი ან მოხრობელი უეცრად წყვეტს საუბარს და აზრს დაუსრულებელს ტოვებს. ამგვარად, წინადადება დაუმთავრებელია და მკითხველი/მსმენელი თავად უნდა მიხვდეს თუ რისი თქმა სურს მწერალს/მოხრობელს, ჩაწვდეს მის ჩანაფიქრს და თვითონვე დაასრულოს აზრი. აპოზიოპეზისი სასაუბრო ენისთვის არის დამახასიათებელი.

2. აპოზიოპეზისის შემთხვევაში ყოველთვის მოიაზრება გარკვეული სახის იმპლიკაცია (ქვეტექსტი). ეს სტილისტიკური ხერხი გეთავაზობს მრავალგვარ იმპლიკაციებს, რომელთა გაშიფვრა აუცილებელია. რა თქმა უნდა, მათი გაშიფვრა სხვადასხვა მკითხველის მიერ შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. ქვეტექსტის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად სტილისტიკაში, თუმცა იმპლიკაციის ხარისხი არცერთი სტილისტიკური ხერხის გამოყენების დროს არაა ისეთი მაღალი, როგორც აპოზიოპეზისის შემთხვევაში.

3. გრაფიკულად აპოზიოპეზისი ტირეთი ან სამი წერტილით გამოიხატება, რის როლსაც მეტყველებაში პაუზა და გარკვეული ინტონაცია ასრულებს.

4. თხრობის შეწყვეტა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მოხეზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აპოზიოპეზისის გამოყენე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- მოსაუბრეს არ სურს საუბრის გაგრძელება.

“Stop doing such things or I’ll . . .” (იმპლიკაცია – მუქარა)

“If you continue such way of living, in a few months time ...” (იმპლიკაცია – გაფრთხილება)

- ივარაუდება, რომ რაც დარჩა უთქმელი საკმაოდ ცნობილია მსმენელისთვის და მოსაუბრე აღარ თვლის საჭიროდ წინადადების დასრულებას.

“You know who did it, better than I do. He is . . .”

- მოხრობელს უჭირს აზრის ბოლომდე გამოსატყობა და ამჯობინებს თხრობის შეჩერებას.

“So is so beautiful, so, so, that . . .”

5. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს აპოზიოპეზისის ახალი სახეობების შემოღება – მექანიკური აპოზიოპეზისი და ნაწილობრივი აპოზიოპეზისი.

- მექანიკური აპოზიოპეზისის ვუწოდეთ ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მოსაუბრე არ აცლის მეორეს წინადადების დასრულებას და მოულოდნელად ერთვება საუბარში.

“I want to tell you that -

Oh, shut up, I don’t want to listen to you.”

- ნაწილობრივ აპოზიოპეზისად შეიძლება მივიჩნიეთ ისეთი შემთხვევა, როცა მოსაუბრეს არ სურს ან უჭირს საუბრის გაგრძელება დროის მოკლე მონაკვეთში, ხოლო საბოლოოდ მაინც ასრულებს წინადადებას.

“Is he still in Hong Kong then ... your husband?”

Mariam Odikadze
Georgia
Grigol Robakidze University
English Philology
Bachelor's programme, VIII semester

New Types of Aposiopesis (Break-in-the Narrative)

Scientific supervisor – Professor **Nino Kemertelidze**

1. Aposiopesis is a Greek word and means "becoming silent". It is a figure of speech wherein a sentence is deliberately broken off and left unfinished, the ending to be supplied by the imagination, giving an impression of unwillingness or inability to continue. Thus, a sentence is unfinished and a reader/listener has to guess what a writer/speaker wants to say; he/she has to penetrate into a writer's or a speaker's intention and finish the statement. Aposiopesis is characteristic of spoken variety of language.

2. In case of aposiopesis a certain type of implication is always suggested. This device offers a number of variants deciphering the implication; it is highly predictable. The problem of implication is a crucial one in stylistics. What is implied sometimes outweighs what is expressed. In other stylistic devices the degree of implication is not as high as in break-in-the-narrative.

3. Aposiopesis graphically is expressed by a dash or a half period. In speech, pause and intonation play the role of the mentioned graphical marks.

4. A break of narrative can be caused by:

- Unwillingness of a speaker to proceed.

“Stop doing such things or I'll . . . ” (implication is a threat)

“If you continue such way of living, in a few months time ...” (implication is a warning)

- The supposition that what remains to be said can be understood by the implication embodied in what has been said.

“You know who did it, better than I do. He is . . .”

- Uncertainty as what should be said.

“So is so beautiful, so, so, that . . .” (the speaker definitely does not know how to express a certain lady’s beauty)

5. The novelty of the research is introduction of a new type of aposiopesis – mechanical aposiopesis and partial aposiopesis.

- In case of mechanical aposiopesis one person interrupts the other and is suddenly involved in conversation.

“I want to tell you that -
Oh, shut up, I don’t want to listen to you.”

- We suggest that aposiopesis can be called partial when a speaker does not want to proceed or does not know how to proceed. So, he/she breaks his/her narration for a while, but finally completes the sentence.

“Is he still in Hong Kong then ... your husband?”

*მარი მერებაშვილი
საქართველო
ვორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ისტორია
ბაკალავრიატი, VIII სემესტრი*

ისტორიული პირი და პერსონაჟი ბრიტოლ აბაშიძის რომანში „ლაშარელა“

ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გოგოლაძე

1. XII-XIII საუკუნეების საქართველო ისტორიაში „ოქროს ხანის“ სახელწოდებითაა შესული. ამ დროისთვის სამეფო ტახტზე თამარ მეფე იჯდა. მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ერთმმართველი გახდა მისი ძე ლაშა-გიორგი (1193-1223) წოდებული, რომელიც დედის სიცოცხლეშივე იყო დასმული თანამოსაყდრედ. ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდი საკმარისად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა ის, თუ როგორ წარმოჩინდა მხატვრულად

თამარის მემკვიდრის სახე XX საუკუნის ქართველი მწერლის გრიგოლ აბაშიძის (1914-1994) შემოქმედებაში, კერძოდ მის რომანში „ლაშარელა“. მკვლევართა ნააზრევის (ან. ნიკოლეიშვილი, ბ. კუპატაძე) და თვით რომანის ძირითადი პერიპეტეიების მოხმობით, უამთააღმწერლის თხზულებისა („მონღოლთა დროინდელი მატრიანე“) და თანამედროვე საქართველოს ისტორიის მასალებზე დაყრდნობით, ვეცდებით შევაჯეროთ რამდენად აისახა ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა და თვით პიროვნება, ლაშა-გიორგი, გრიგოლ აბაშიძის რომანში „ლაშარელა“.

2. ლაშა-გიორგის პოლიტიკურ კურსსა და თვით პიროვნებაზე იმთავითვე სხვადასხვა შეხედულება არსებობდა, რადგანაც ლაშა-გიორგის მეფობას უშულოდ მოჰყვა ქართველთა სახელმწიფოებრიობის დაცემის ხანა. მომდევნო თაობებმა მის მეფობაში იმთავითვე დაიწვეს იმ მიზეზების ძებნა, რომლებმაც ვითომც ეს პროცესები გამოიწვიეს და მართლაც, რომ ეს საკითხი უშუალოდ ლაშა-გიორგის დროს არ დასმულა და მაშინ თამარის ეპოქის ოპტიმისტური სული ჯერ კიდევ შეურყეველი იყო.

3. გრიგოლ აბაშიძის რომანი, რომელიც დაიწერა 1957 წელს, „ლაშარელა“ ლაშა-გიორგის პერიოდის საქართველოს ყოფის ამსახველი ქართული ქრონიკაა. გრიგოლ აბაშიძე თითქმის ზედმიწევნით სიზუსტით მოგვითხრობს XIII საუკუნის ათიან წლებში მოღვაწე ტრაგიკული ბედის მქონე გვირგვინოსანი მეფის, როგორც მეფურ, ისე ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების ამბავს. მიუხედავად იმისა, რომ რომანში ლაშა-გიორგის მოღვაწეობის თითქმის ყველა ისტორიული მხარეა წარმოდგენილი ნაწარმოების მაგისტრალურ სიუჟეტურ ღერძს, უპირველეს ყოვლისა მეფის პიროვნულ ბედისწერად ქცეული ის რომანტიკული სიყვარული წარმოადგენს, რითაც იგი ველისციხელ ქალთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

Mari Merebashvili

Georgia

Gori State Teaching University

History

Bachelor's programme, VIII semester

Historical Character in Grigol Abashidze's Novel "Lasharela"

Scientific supervisor – Professor **Tamar Gogoladze**

1. XII-XIII centuries Georgia entered the history as the "Golden Era". At that time, King Tamar ruled the Kingdom. After her death, her son Lasha-Giorgi (1193-1223) became an absolute ruler of Georgia who was proclaimed as a co-ruler even when her mother was still alive. The period of Lasha-Giorgi's kingship was sufficiently studied in Georgian Historiography. This paper focuses on revealing Tamar's successor's artistic image in the creative work of XX century Georgian writer Grigol Abashidze (1914-1994), namely in his novel "Lasharela". Referring to the researchers' (A. Nikoleishvili, B. Kupatadze) thoughts and major peripeteia of the novel, relying on the "Chronicles

of the Mongols Era” of and the materials of the history of modern Georgia, we will try to ascertain how the historical fact or event and Lasha-Giorgi’s personality are reflected in Grigol Abashidze’s novel “Lasharela”.

2. There were divergence of opinions on Lasha-Giorgi’s personality and his political course, as Lasha-Giorgi’s kingship was immediately followed by the falling era of Georgian statehood. The next generations began searching for those reasons which supposedly caused this process; and indeed this question was not raised in the period of Lasha-Giorgi’s kingship and at that time optimistic soul of Tamar’s epoch was still unshakable.

3. Grigol Abashidze’s novel “Lasharela”, which was written in 1857, is the feature chronicle reflecting Georgia of Lasha-Giorgi’s period. Grigol Abashidze almost exactly tells us as about the royal as well as ordinary life of the crowned king who reigned in the 10s of XIII century. Despite the fact that Lasha-Giorgi’s all important activities are described in the novel, the main axis of the plot is his romantic love to the woman from Velistsikhe that turned into the King's destiny.

*ნათია ბოტკოველი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

ზანური ნასუსობები გურულ დიალექტში: მცენარეთა სახელები

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მარინე ივანიშვილი

1. როგორც ცნობილია, ქართველური ენები მოიცავს ქართულ, სვანურ და მეგრულ-ჭანურ იგივე ზანურ ენებს. ჩემ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ზანური ენისა და ქართულის ერთ-ერთი დიალექტის, კერძოდ, გურულის ურთიერთმიმართების საკითხს.
2. ზანური (მეგრულ-ლაზური) ენა, მკვლევართა ვარაუდით, ერთ-ერთი ის ძირითადი ფაქტორია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის დასავლური კილოების (გურულის, აჭარულის, იმერულის) წარმოქმნა-ფორმირებაში. ქართული ენის დასავლურ კილოებში ზანური ენის კვალი დღესაც ვლინდება. იგი უხვად იჩენს თავს როგორც ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებში, ისე ლექსიკაში.
3. საანალიზოდ აღებული ემპირიული მასალა შეირჩა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან, კერძოდ, დავამუშავე მცენარეთა სახელების აღმნიშვნელი სიტყვები, გურულ დიალექტში აღმოჩენილი ლექსიკური ერთეულები შევუდარე როგორც მეგრულ-ჭანურ, ისე სვანურ და ქართული ენის სხვადასხვა დიალექტს. მასალამ

აჩვენა, რომ გურულში მცენარეთა სახელების ფორმაციის თვალსაზრისით ძალიან დიდი გავლენა მოუხდენია ზანურ ენას. გამოიყო მსგავსების სამი სახე:

ა) გურულში მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვები ფაქტობრივ ემთხვევა ზანურისას: ქართ. სალიტერატურო ენა – ბადრიჯანი; მეგრული – პატრიუანი; გურული – პატრიუანი.

ბ) მსგავსება აშკარაა, მაგრამ ჩანს ფონეტიკური ცვლილებები: ქართ. სალიტერატურო ენა – გვირილა; მეგრული – ქამენია, ქამანია; გურული – კამანია.

გ) გურულში მცენარეთა სახელებისას გამოიყენება მეგრულ-ჭანური სიტყვების ნათარგმნი ფორმები: ქართ. სალიტერატურო ენა – დანდური; მეგრული – ვაღურია, უღურაღე; გურული – უკვდავა.

4. აღსანიშნავია, რომ სამივე ჯგუფი შეიცავს საკმაოდ ბევრ ლექსიკურ ერთეულს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ქართველურ ენებსა და დიალექტებს შორის ისტორიულად მიმნარეობდა და დღესაც გრძელდება მჭიდრო ენობრივი კავშირები.

Natia Botkovieli

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Philology

Bachelor's programme, VI semester

Zanian Borrowings in the Gurian Dialect: Plant Names

Scientific supervisor – Associate Professor **Marine Ivanishvili**

1. The Kartvelian languages (Georgian, Zan (Megrelian and Laz) and Svan are rich in dialectal varieties. The investigation of the Kartvelian dialects may be effective according to various points of view: characterizing the dialects' phonetic, morphological, syntactic and lexical peculiarities; showing the common lingual tendencies manifested in the dialects of this or that district; investigating the principle linguistic isoglosses; from the ethnic- territorial point of view, etc.

2. All the Kartvelian languages and dialects historically and nowadays are closely connected to each other; especially the western Georgian dialects are related to geographically near to them localized Zan languages. In the presented work Zanian borrowings in the Gurian dialect are considered.

3. According to the scholars, Zan (Megrelian and Laz) language was one of the general factors which played a significant role in formation of the western Georgian dialects (Gurian, Acharian, Imeretian). The influence of Megrelian is obvious even nowadays in the domains of phonetics, morphology, syntax and vocabulary.

4. In the article is obtained the empirical data from the basic lexical fund of the language, particularly, the plant names. Gurian lexical units are compared to other Georgian dialects, also Megrelian, Laz and Svan ones. The influence on Gurian became clearer. There are three types of similarity:

- A) Gurian plant names are absolutely similar to Zan ones: Literary Georgian: badri ani “eggplant”; Megr./Gurian : patri ani.
- B) Similarity in phonetic changes: Literary Georgian: gvirila “daisy”, Megrelian: kamenia, Gur.: amania.
- C) In Gurian dialect there are translated Megrelian plant names: Georgian literary: danduri “Helichrysum“, Megr.: va uria, u urale “immortal”; Guria: “ukvdava” “immortal”.

5. It should be noted that all three groups contain lots of lexical units which are presented in the article.

*ლინდა გიორგაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

რუსული „თქმულება დინარაზე“ და თამარ მეფე

ხელმძღვანელი – პროფესორი **ილონა ძნელაძე**

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება XV-XVI საუკუნეებში შექმნილი ძველი რუსული თქმულების მთავარი გმირის, დედოფალი დინარასა და თამარ მეფის იდენტიფიკაციის საკითხებს. მოხსენებაში წარმოვაჩენ შემდეგ ასპექტებს:

1. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა.
2. ვარაუდები: როდის და რა ვითარებაში გავრცელდა ქართული ისტორიული ცნობები რუსეთში.
3. დასახელებული ნაწარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ „თქმულება დინარაზე“ მთლიანად ქართულ მასალაზეა აგებული. ანონიმი ავტორი გვამცნობს, რომ ივერიის მეფე ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის მისი ქალიშვილი დინარა, რადგან მეფეს ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავდა. დედოფალს უპირისპირდება მუსლიმური სამყარო. სიუჟეტი ძალიან ჰგავს თამარ მეფის მოღვაწეობას და XII საუკუნის საქართველოს ისტორიის რეალურ ფაქტებს. რას მივაწეროთ ეს მსგავსება? ამ საკითხს ვრცლად წარმოვადგენთ მოხსენებაში.
4. დინარას იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაჩნდა ორი განსხვავებული მოსაზრება. ერთი ეკუთვნის მარი ბროსეს, ხოლო მეორე, საკმაოდ საინტერესო მოსაზრება - კირიონ II-ს. პირველს

მიანდა, რომ თხზულებაში დამახინჯებულად აისახა თამარის ეპოქა, ხოლო კირიონი უარყოფს ამ შეხედულებას და თქმულების მთავარი გმირის პროტოტიპად მიიჩნევს ჰერეთის დედოფალ დინარს, რომელიც X საუკუნეში მოღვაწეობდა. კირიონისეული მოსაზრება არ იქნა გაზიარებული. ამ მოსაზრებებს თავისი არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით წარმოვადგენ მოხსენებაში, ასევე, შევეცდები, შემოგთავაზოთ ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

Linda Giorgadze

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian philology

Bachelor's programme, VI semester

The Russian Tale of Queen Dinara and Queen Tamar of Georgia

Scientific supervisor – Professor **Ilona Dzneladze**

The presented work is about the old Russian story which was created in XV-XVI centuries; moreover, it concerns the problem of identification of the main character, Queen Dinara and Queen Tamar of Georgia. In my paper I discuss the following aspects:

1. An overview of the relationship between Russia and Georgia.
2. Suppositions: When and in what conditions the Georgian historical facts were spread in Russia.
3. The analysis of the named work shows that “the Tale of Queen Dinara” was built on Georgian material. Anonymous author says that after the death of Alexander, the King of Iveria, and his daughter Dinara ascended the throne because the King had no son. The queen counters against the Muslim world. The plot is very similar to Tamar’s reign and to the real Georgian historic facts that happened in the 12th century. How can we explain this similarity? I am going to talk about this problem in my paper.
4. On the border of XIX-XX centuries, two different suggestions related to Dinara’s identification arose in Georgian historiography. One belongs to Mary Brosey, and the other, quite interesting one to Kirion II. Mary considered that in the fiction Tamar’s golden age was shown in the wrong way. But Kirion disclaimed this opinion and deemed the Queen Dinara of the Kingdom of Hereti (X century) as a prototype of the main character. The last consideration was not shared. In my paper I will present both arguments and counterarguments about the abovementioned and will try to show my personal attitude about it.

იზოლდა ბეროშვილი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგია
ბაკალავრიატი, VI სემესტრი

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?“ და ემილ ზოლას „ხაფანგი“

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ეკა ვარდოშვილი**

1. ილია ჭავჭავაძე და ემილ ზოლა მეცხრამეტე საუკუნის გამორჩეული პიროვნებები იყვნენ. ერთი საქართველოში მოღვაწეობდა, მეორე საფრანგეთში. ერთი კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, მეორეც რეალისტი, მაგრამ ამავე დროს ნატურალიზმის თეორეტიკოსი. ამის გამო ემილ ზოლას რომანებში ჭარბად შეინიშნება ნატურალისტური ტენდენციები. ეს ორი საზოგადო მოღვაწე, ლიბერალი, მწერალი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი თითქმის თანატოლი იყო, ყველაზე ნიშანდობლივი მათი ტრაგიკული სიკვდილია. ორივე მოკლეს, მოკლეს განსხვავებული ხედვის გამო. გარდა ბიოგრაფიული მსგავსებისა, მათ შემოქმედებაშიც ბევრი ანალოგიის დანახვა შეიძლება.
2. ჩემი ნაშრომის მიზანია ვახვენო მსგავსება, რომელიც ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანსა?“ და ე. ზოლას „ხაფანგში“ შეიმჩნევა.
3. ორივე ნაწარმოებში მანკიერი თვისებების მქონე ადამიანები არიან დახატულნი. სიზარმაცე, გაუნათლებლობა, სიბრიყვე, შური, თვალთმაქცობა – იმ საერთო თვისებათა მოკლე ჩამონათვალია, რომელთა შესახებაც ვიმსჯელებ (რა თქმა უნდა, ტექსტებიდან შესაბამისი მაგალითების მოყვანით).
4. ორივე ნაწარმოებს ერთი მიზანი აქვს. ილია თათქარიძეთა სახით მთელი ჩვენი ერის ცუდ თვისებებსა და ნაკლოვანებებს გვიხატავს. ზოლაც ამას ცდილობს, წარმოგვიდგინოს იმდროინდელი ფრანგული საზოგადოების უაყოფითი მხარეები.
5. ორივე ავტორის აზრით, გარემო და საზოგადოება დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.
6. აღსანიშნავია სოციალურ-პოლიტიკური წყობილების როლიც. „კაცია-ადამიანის?“ პერსონაჟები მსხვერპლი არიან ბატონყმური წყობილების, „ხაფანგი“ კი გამომხატველია იმ ბიწიერების, რომლითაც ბურჟიუზიამ დააჯილდოვა ყველა კლასი.
7. დასკვნა.

Izolda Beroshvili
Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgian Philology

Ilia Chavchavadze's "Is That a Man?!" and Emile Zola's "Trap"

Scientific supervisor – Associate Professor **Eka Vardoshvili**

1. Both -Ilia Chavchavadze and Emile Zola were the prominent writers of the nineteenth century. One carried out his creative activity in Georgia, another - in France. Ilia Chavchavadze was the representative of critical realism; Zola was a realist and at the same time - theorist of Naturalism. These two public figures, liberals and writers struggled against injustice. Both of them had tragic life – they were assassinated because of they have different views and beliefs. Besides bibliographic similarities, a lot of analogies can be observed in their creative work.
2. The presented paper aims to show the similarities between Ilia Chavchavadze's story "Is That a Man?!" and Emil Zola's novel "Trap".
3. In both fictions are depicted people with vicious features. Laziness, illiteracy, stupidity and jealousy, hypocrisy – this is a short list of the common features discussed in this paper (certainly, with the right examples from the texts).
4. Both of the fictions have the same goal. By describing Tatkaridze, Ilia Chavchavadze shows all evil features of our nation. Zola also tries to reveal all negative sides of French society.
5. Both authors consider that environment and society have a great influence on formation of a human's character.
6. Social-political role is also very important. The characters of the story "Is That a Man?!" are victims of the serfdom system, and "Trap" depicts that depravity – "gift" of bourgeoisie.
7. Conclusion.

*რახმან ლაიშოვი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგია
ბაკალავრიატი, II სემესტრი*

**ზოგიერთი ასპექტი სწავლებასთან დაკავშირებით და პედაგოგის როლი
მოსწავლეთა აღზრდაში**

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანანა ქაჯაია

1. პედაგოგის ძირითად მოვალეობად დიდი ქართველი მწერალი დ საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე მომავლის სასიკეთოდ მოღვაწე ადამიანების აღზრდას მიიჩნევს. აღზრდა არის მიზანმიმართული საქმიანობა აღსაზრდელისაგან პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. ცნობილი ჩილეელი მასწავლებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გაბრიელა მინსტრალი თავის ნაშრომში „მასწავლებლის ვედრება“ ამბობს: „უფალო, შენ, რომელიც გვმოდგურავ და გვასწავლი, მომიტევე მეც რომ ვასწავლი და მასწავლებლად ვიწოდები, როგორც შენ მოგმართავდნენ ხოლმე დედამიწაზე“.
2. აღზრდისა და სწავლების მიმართულებათა შორისაც მეცნიერები, უპირველეს ყოვლისა, ასახელებენ გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდასა და სწავლებას.
3. დიდი მეიგავე და დიდაქტიკოსი მწერალი, სულხან-საბა ორბელიანი თავისი არაკებით გვმოდგურავს და გვასწავლის, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი, რა თვისებები უნდა გააჩნდეს მას და როგორი უნდა იყოს საზოგადოებასთან მიმართებაში.
4. დიდაქტიკოსი მწერალი დავით გურამიშვილი ამბობს: „ადამიანის ჭკუა ცოდნით მოიხმარება. ცოდნის მისაღებად პრიორიტეტი ენიჭება ჯერ ოჯახს და შემდეგ იმ გარემოს, სადაც ის იღებს განათლებას პედაგოგის დახმარებით“.
5. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის გონებრივი განვითარება არის დამოკიდებული გარემოზე, ვიდრე მემკვიდრეობაზე. ასეთივე მოსაზრებისაა ვასილ სუხომლინსკი, რომელიც მასწავლებლის პროფესიას თვლიდა ყველაზე საპატიო და კეთილშობილურ პროფესიად.

Rakhman Laishovi

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Philology

Bachelor's programme, II semester

Some Aspects Related to Teaching and a Teacher's Role in Pupils' Education

Scientific supervisor – Associate Professor **Manana Kajaia**

1. The great Georgian writer and state figure Iliia Chavchavadze considers that the main duty of a teacher is bring up future-oriented young generation. It is a set of activities focused on formation of youth as worthy personalities. A well-known Chilean teacher, Nobel Prize winner Gabriela Minstral in her work“Teacher's Prayer” says: “O Lord, who preach and teach us, forgive my arrogance for teaching, being called a teacher as you people on Earth called you”.

2. According to scientists, mental, moral, physical and labour education takes special emphasis among different directions of education.
3. The great fabulist and didactic writer, Sul Khan-Saba Orbeliani through his fables teaches us what features a real man should have and what relationships he/she should have towards society.
4. The great Georgian didactic writer Davit Guraminshvili writes: "Knowledge guides a human's mind. The first priority is given to the family and the environment where a person obtains education with the help of a teacher."
5. We have to remember that a child's mental development greatly depends on the environment rather than heredity. Vasil Sukhomlinski has the same consideration. He considered a teacher's profession as the most respectable and noble profession.

სოციალურ მეცნიერებათა სექცია
Section of Social Sciences

ნანა შანშიაშვილი, ქეთი შინდელიშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფსიქოლოგია
ბაკალავრიატი, VIII სემესტრი

ინტერნეტომანია

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი: **თამარ კერძაია**

1. თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. იგი გახდა არსებობის აუცილებელი ფაქტორი. ამ დიდადი ქსელის მოტრფიალედ გვევლინებიან არა მხოლოდ ზრდასრული, არამედ მოზარდი და მცირეწლოვანი ასაკის ადამიანები.
2. ინტერნეტი შესაძლოა ადამიანთა დიდი ნაწილის სოციალურ და რომანტიკულ ცხოვრებაში დადებით მამოძრავებელ ძალად ჩაითვალოს. ასევე სწავლის შექმნის, განვითარებისა და გართობის კარგ საშუალებად.
3. დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 28.7% ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია. აქედან 10% „დაავადებულია“ ე.წ. ინტერნეტ-დამოკიდებულებით. მკვლევარებმა თავის ტვინზე ჩატარებული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შედეგად დაადგინეს, რომ ინტერნეტდამოკიდებულებას შეუძლია ისეთივე ნეგატიური გავლენა მოახდინოს თავის ტვინზე, როგორც ალკოჰოლმა და ნარკოტიკმა,
4. კომპიუტერთან საათობით ჯდომა ადამიანს ართმევს ცხოვრების აღქმის უნარს, წყვეტს რეალობასა და აკარგვინებს დღევანდულობის შეგრძნებას. ასევე იწვევს მხედველობის დაქვეითებას და კუნთების ატროფიას. სასტიკი თამაშები კი ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე და მასში აგრესიას ავითარებს. ამიტომაც, მსოფლიოში საკმაოდ გამრავლდა ძალადობის შემთხვევები.
5. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანიც იყო გაგვეგო, რამდენად არიან დღევანდელი ჩვენი თაობის წარმომადგენლები ინტერნეტზე დამოკიდებულნი, კვლევაში მონაწილეობდა 130 რესპოდენტი. ძირითადად 17-22 წლის ახალგაზრდები. აქედან 88 იყო ქალბატონი და 42 მამაკაცი. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესი ნაწილისთვის, ინტერნეტმა მნიშვნელოვანი როლი დაიკავა. 80% მას სოციალური ქსელებისთვის იყენებს, 15%- ფილმები და მუსიკისთვის, ხოლო 5% საოფისე სამუშაოებისთვის. 85%-სთვის წიგნი ჩაანაცვლა კომპიუტერმა და ურთიერთობაც უფრო მარტივი გახდა. ყოველ მათგანს გააზრებული აქვს კომპიუტერის მაგნე ზეგავლენა მათ ჯანმრთელობაზე და ამის მიუხედავად უარს მაინც ვერ ამბობენ, უფრო ნაკლები დრო დაუთმონ მას.

Nana Shanshiashvili, Ketevan Shindelishvili
Georgia
Grigol Robakhidze University
Psychology
Bachelor's programme, VIII semester

Internetomenia

Scientific supervisor – Associate Professor **Tamar Kerdzaia**

1. In the modern world it is impossible to live without the Internet. It has become a necessary factor. Customers are not only adults, but also teenagers and children.
2. The Internet is a major part of people's social and romantic life and can be regarded as the driving force. It also helps in the process of learning, development. Furthermore, the Internet is a good means of entertainment.
3. Nowadays, 28,7% of the world's population are active users of the Internet. 10% out of this suffers from internet addiction. Researchers, who conducted magnetic resonance imaging have as negative affect on the brain as alcohol and drugs.
4. Spending long hours at computer leads a person to poor perception of time damages. Sight is the reason of muscle atrophy. Severe games have negative impact on human psyche and develop aggression. That is why the number of violent crimes has increased dramatically.
5. The conducted survey aimed to find out how much our generation is addicted to internet. The study involved 130 respondents aged 17-22. 88 were women and 42 - men. The research has shown that the most of the internet users have played an important role in life. 80% of the respondents uses social network, 15% watches movies and listens to music and 5% uses it for office work. 85% thinks that books have been replaced by the computer and change social relations, making them much easier. It is interesting that respondents realize that they should spend less time with computer, because it has a bad effect on their health, namely on eyes. Still, they cannot get rid of computer addiction.

ნათია ლილუაშვილი, ხატია იმერლიშვილი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკურ მეცნიერება
ბაკალავრიატი, IV სემესტრი

პოლიტიკური კულტურის ახალგაზრდული დისკურსი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე

1. საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციების ერთობლიობა, სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი და პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტი - ეს არის პოლიტიკური კულტურის ყველაზე მარტივი განსაზღვრება, რაც გაბრიელ ალმონდმა და სიდნეი ვერბამ შემოგვთავაზეს. პოლიტიკური კულტურა უმთავრესად ხასიათდება ეროვნული, ადგილობრივი კულტურის ელემენტებით. ნებისმიერ ერს თავისი განსაკუთრებული, უნიფიცირებული პოლიტიკური კულტურა გააჩნია. პოლიტიკური კულტურა ეს არის კოგნიტური, აფექტური და შეფასებითი ორიენტაციების სისტემა, რომელცი ემყარება პოლიტიკურ სისტემაში შემავალ და გამომავალ ფაქტორებზე. (input --> output)
2. პოლიტიკური კულტურის 3 ტიპი არსებობს: მონაწილეობითი, ქვეშევრდომული და მრევლის. დავინტერესდით საქართველოში არსებულ უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის როგორ ნაწილდება პოლიტიკური კულტურის ტიპი, როგორია მათი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ, რამდენად ხელს უწყობს ახალგაზრდების დამოკიდებულება სახელმწიფოპზე სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას.
3. კვლევის ემპირიულ ბაზად შევარჩიეთ საქართველოს 3 აკრედიტირებული უნივერსიტეტის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის) სტუდენტები. გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი (ანკეტირება - 300 ეგზემპლარი), ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კვლევა ვალიდურია და მისი ინტერპრეტირება სანდოა.

Natia Liluashvili, Khatia Imerlishvili

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Political Science

Bachelor's programme, IV semester

Youth Discourse of the Political Culture

Scientific supervisor – Assistant Professor **Avtandil Tukvadze**

1. Political culture as a model of political behavior, the unity of orientations of political institutions, organic part of spiritual culture and an integral part of political system – this is a simplified definition of political culture proposed by Gabriel Almond and Sidney Verba. Political culture is basically characterized by the elements of national, local culture. Every nation has its own special,

unified political culture. Political culture is a system of cognitive, affective and evaluative orientations and can be analyzed in terms of inputs, processes and outputs.

2. There are three types of political culture: Parochial, subject and participant. We are interested in the way how the types of political culture are distributed among students of state universities, what their attitude toward the authority is and how this attitude determines the formation of their civic culture.

3. Students of three state universities (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ilia State University and Georgian Technical University) serve as the empirical base of our research. We have used the quantitative research method (survey – 300 specimens). This research is valid and has a reliability of interpretation.

სალომე ოლაძე, თეკლე ორთოიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
ბაკალავრიატი, IV დონე

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ნაზი ჭიკაიძე**

1. პოლიტიკისა და ეკონომიკის ზოგადი განსაზღვრება – პოლიტიკა ეს არის საზოგადოებრივი საქმიანობა რომლის ფარგლებშიც ადამიანები ქმნიან, ინარჩუნებენ და სრულყოფენ ერთად თანაცხოვრების ნორმებს. ის მუდამ დიალოგია და არასოდეს არის მონოლოგი. ყველაზე ზოგადი განსაზღვრებით ეკონომიკა არის იმის შესწავლა, როგორ მართავს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს. ეკონომიკა ზოგადად მოიაზრება, როგორც: საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა და მოცემული ქვეყნის ან მისი ნაწილის მეურნეობა.

2. ქართული ეკონომიკური რეალობა – ქართულ ეკონომიკურ რეალობას დღესდღეობით განსაზღვრავს: მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი), ფასები და ინფლაცია, საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დასაქმებისა და ხელფასის ოდენობა, ცხოვრების დონე და საარსებო მინიმუმი, ბიზნეს სექტორი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ენერჯეტიკა, ტურიზმი.

3. ეკონომიკის გლობალიზაცია და საქართველო – ეკონომიკური გლობალიზაცია ერთ-ერთი უმთავრესია იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ) მსოფლიოს ბუნება საქონლითა და მომსახურებით, საერთაშორისო ვაჭრობითა და ფინანსების საერთაშორისო ნაკადებით განსაზღვრა. ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ

ფაქტორად მიიხნევა. როგორც “ფორბსი” იუწყება საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მსოფლიოში მე-19 ადგილზეა.

4. სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობა ქართული ეკონომიკური წინსვლისათვის – სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში, სოციალური პრობლემების მოგვარებაში და ზოგადად სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში.

Salome Oghadze, Tekle Ortoidze
Georgia
Grigol Robakidze University
Public Administration and Politics
Bachelor's programme, II semester

Specifications of Formation of State Economic Policy

Scientific supervisor – Associate Professor **Nazi Chikaidze**

1. The general definition of politics and economics - politics is a public activity and within its scope people create, maintain and improve the norms of living together. It is always a dialogue and never becomes a monologue. According to the most general definition, economics is a study of management of limited resources by society. Generally, economics is a union of entrepreneurs and entrepreneurship of the given country or its part.
2. Georgian economic reality - today Georgian economic reality is determined by GDP (Gross Domestic Product), prices, inflation, external trade, direct foreign investments, rate of employment, wages, living conditions, living-wage, business sector, agriculture, entrepreneurship, development, energetics and tourism.
3. Globalization of economics and Georgia - economic globalization is one of the main factors that determines a nature of the world (after Second World War) by means of products and services, international trade and financial flows. The level of globalization shows how a country is socially, economically and politically integrated into the modern world. High-level of globalization has positive influence on country's economic and political development. According to “Forbes”, Georgia occupies the 19th place regarding economic globalization.
4. The importance of state policy for economic progress - state's correct economic policy is very important for strengthening of country's sovereignty, for solution of problems and determination of long-term perspectives.

*მარიამ ცხადაძე, ალექსანდრე ეროიანი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

**ეკონომიკური ცვლილებები რუმინეთში ევროკავშირში
გაწევრიანების შემდეგ**

ხელმძღვანელი – კონსტანტინე შუბითიძე

1. ისტორიული მიმოხილვა - ევროპა 21-ე საუკუნეს ახალი გამოწვევებით შეხვდა. სოციალისტური ბანაკი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიშალა და მის ნანგრევებზე წარმოშობილმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ბრძოლა თავიანთი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და კეთილდღეობისათვის. ეს ქვეყნები აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდნენ ეკონომიკური განვითარების დონით მათზე მაღლა მდგომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის საუკეთესო გზას წარმოადგენდა ევროპულ გაერთიანებებში ინტეგრაცია და ამ გზით განვითარების მაღალი დონის მიღწევა, მათ შორის გახლდათ რუმინეთიც, რომელიც ევროკავშირის წევრი გახდა 2007 წელს.

2. საკვლევი კითხვა - რა ცვლილებები განიცადა რუმინეთის ეკონომიკამ ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ?

3. ინდიკატორები - სახელმწიფო ვალი, ინვესტიციების სალდო და სავაჭრო ბალანსი. აღნიშნული ინდიკატორები ჩვენთვის საინტერესოა, რადგან დაკავშირებულია სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებთან, რომლის დამყარება შედიოდა რუმინეთის ინტერესებში, როდესაც გამოთქვამდა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს.

4. მიზანი - აღნიშნულ მახასიათებლებზე დაკვირვებით შევეცდებით დაგადგინოთ რუმინეთის ეკონომიკის განვითარების თავისებურებები. ამასთანავე ამ ინდიკატორებს შევადარებთ ბელორუსიის ანალოგიურ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რუმინეთის ეკონომიკური ცვლილებების სარგებლიანობა სხვა ქვეყანასთან შედარებით.

5. პერიოდი - 2007-2014 წლები.

6. საკითხის აქტუალურობა - რუმინეთის საკითხი აქტუალურია საქართველოსათვის, რომელიც მიისწრაფვის ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციისაკენ. რუმინეთის მაგალითი შესაძლოა აღმოჩნდეს მაჩვენებელი იმისა, თუ რას უნდა მოველოდეთ ევროკავშირში გაწევრიანებისაგან, რადგან რუმინეთიც საქართველოს მსგავსად მხოლოდ 90-იან წლებში გათავისუფლდა სოციალისტური სისტემისაგან და დაიწყო ზრუნვა თავისუფალი საბაზრო სისტემის შესაქმნელად, რათა მიეღწია ევროპულ

სახელმწიფოებთან ინტეგრაციისა და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კეთილდღეობისათვის.

7. ჰიპოთეზა - ცვლილებები, რომლებიც რუმინეთის ეკონომიკამ ევროინტეგრაციის შემდეგ განიცადა არ არის საკმარისი მისი განვითარებისათვის.

Mariam Tskhadadze, Aleksander Erovan
Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
International Relations
Bachelor's programme, IV semester

Economic Changes in Romania after Accession in the EU

Scientific supervisor – **Konstantine Shubitidze**

1. Historical review – in XXI century Europe encountered the new challenges. The socialist camp fell apart in the 90s and the newborn countries started organizing their states and struggled for their prosperity. The western neighbors of those countries were more developed and tightly connected with each other. So, the best way for former socialist countries to develop themselves was to integrate in western European organizations. Among them was Romania, the country which became the member of the European Union in 2007.

2. Research question – What kind of changes appeared in Romanian economy after receiving the membership?

3. Indicators – State debt, investment and trade balance. The mentioned indicators are very interesting, because they are connected with the country`s foreign economic trade growth, which was the main interest for Romania.

4. Aim – We will try to analyze the peculiarities of Romanian economy`s growth. We will also use the Belarus case to emphasize the advantages of Romanian economic changes compared to other countries.

5. Period – 2007-2014.

6. Relevance of the topic – The Romanian case is relevant for Georgia which aspires to integrate in the European society. The Romanian case can serve as an example of what to expect from the membership of the European Union, because Romania, like Georgia, became a capitalistic country with free market only in the 90s, to integrate with European countries and therefore, reach the economic prosperity.

6. Hypothesis – The changes which took place in the Romanian economy after the Euro integration are not sufficient for the country`s development.

სალომე ღაჭავაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი, I სემესტრი

კონფლიქტუზი დაკვირვება და მათი თავიდან აცილება

ხელმძღვანელი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგასტრი **მაია ტიელიძე**

1. „კონფლიქტის“ მნიშვნელობა და მისი სახეები. როგორც წესი, კონფლიქტად მოიაზრება ვითარება, რომლის დროსაც განსხვავებული მოსაზრებების/პოზიციების მქონე აქტორები ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას მოწინააღმდეგეზე/საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტი ყოველთვის ომს არ ნიშნავს და მას გარკვეული პოზიტიური მოვლენებიც შეიძლება ახლდეს თან (სოციალური სოლიდარობა, კრეატიულობა, კომუნიკაციის გაუმჯობესება...), თუმცა ცალსახაა, რომ ინტერესთა, ღირებულებათა, რელიგიური თუ სხვა სახის კონფლიქტები ხშირად გადაიზრდება ხოლმე შეიარაღებულ კონფლიქტში, რასაც გაცილებით უფრო მეტი ზიანი მოაქვს სოციუმისთვის, ვიდრე სარგებელი.
2. 5 ძირითადი ცვლილება, რაც შეიარაღებული კონფლიქტების მახასიათებლებში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მახასიათებელთა ცვლილებების ანალიზი დაგვეხმარება კონფლიქტების არსის წვდომასა და მათი მოგვარების გზების ძიებაში.
3. ნაშრომში ასევე განხილული იქნება კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები ანალიზის სამივე დონეზე (ინდივიდუალური, სახელმწიფო და საერთაშორისო) და მათზე დაყრდნობით გამოიკვეთება კონფლიქტების ერთგვარი წინაპირობები, რათა უფრო მარტივი გახდეს მათი იდენტიფიცირება. რატომ არის საჭირო ეს უკანასკნელი? დაძაბული სიტუაციების იდენტიფიცირება მის ადრეულ ეტაპზე იძლევა პრევენციისა და სიტუაციის დეესკალაციის საშუალებას, სანამ ის კონფლიქტად მომწიფდება. ნაშრომი ასევე შეეხება სამშვიდობო შეთანხმებებს, მათ შედეგებსა და კონკრეტულ შემთხვევებსა და კონფლიქტთა თავიდან აცილების გზებს.

Salome Ghachava
Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
International Relations
Bachelor's programme, II semester

Observing and Avoiding Problems

Scientific supervisor – Master of Humanities **Maia Tielidze**

1. The definition of “conflict” and its varieties. As a rule, conflict is a circumstance, when actors with different opinions/positions try to take advantage over opponents / protect their own interests. It is important that conflict does not always mean a war and it may be followed by some positive events (social solidarity, creativity, improved communication...), but it is obvious that conflict of interests, values, religious or anything else so often transfers to armed conflict which can do more harm than good for society.
2. 5 basic changes that took place in armed conflicts after II World War. Realizing basic changes can help us to access to the main point of conflict and the ways for avoiding them.
3. Reasons of the conflicts on the three levels of analysis (individual, state and international) will also be discussed in the paper. The events which precede conflicts will become vivid what will makes it easier to indentify them. What do we need it for? Identifying a tense situation earlier gives a chance to prevent and deescalate circumstances before it turned into a conflict. The paper also reflects Peace Agreements, its results, particular cases and the ways to avoid conflicts.

*სანდრო ტაბატაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი
პოლიტიკურ მეცნიერება
ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

შიდაპარტიული დემოკრატიის ქართული პარადიგმები

ხელმძღვანელი – პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**

1. საქართველო მიისწრაფვის კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელისკენ, რისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ძლიერი პარტიული სპექტრია. ამიტომ, პარტიებისა და პარტიული სისტემის შესწავლა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, მათგან მხოლოდ რამდენიმეა აქტიურ პოლიტიკაში ჩართული.
2. საქართველოში დარეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიათა უდიდესი ნაწილი ორგანიზებისთვის არ იყენებს შიდაპარტიული დემოკრატიის მექანიზმებს. ეს არის პოლიტიკურ ქმედებათა და პროცედურათა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ორგანიზაციის ყველა წევრთა თანაბარ მონაწილეობასა და უზრუნველყოფს პარტიული ლიდერის დაქვემდებარებას აქტივისტთა საერთო კონტიგენტისთვის. შიდაპარტიული დემოკრატია ხელს უწყობს

პარტიების შიგნით ელიტების რეკრუტირებას, დეცენტრალიზაციას, თანამონაწილეობის, ანგარიშგაღებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების გაძლიერებას.

3. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შეგვესწავლა შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველყოფის საკითხები საქართველოს საპარლამენტო პარტიებში: “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”, “ეროვნული ფორუმი”, “საქართველოს კონსერვატიული პარტია”, “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”, “საქართველოს რესპუბლიკური პარტია”, “ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები”, “ერთანი ნაციონალური მოძრაობა”, “ახალი პოლიტიკური ცენტრი-გირჩი”. საქართველოს საპარლამენტო პარტიების დებულებების თვისებრივი (კლასიკური) ანალიზისა და რაოდენობრივ (კონტენტ ანალიზის) საფუძველზე და მათი შედარებითი (კომპარატივისტული) ანალიზის საფუძველზე გამოვიკვლევთ მათ სტრუქტურას ისეთი პოლიტიკურ მეცნიერებაში აპრობირებული კრიტერიუმებით, როგორცაა: ინსტიტუციონალიზაცია, ცენტრალიზაცია, ინკლუზიურობა (ს. ქაროუ; ჯ. მაიო).

4. საქართველოს საპარლამენტო პარტიების შიდაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე, შესაძლებელი იქნება მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა და ამდენად, ემპირიული დასკვნების გაკეთების საშუალება. რადგანაც პარტიათა უმრავლესობაში ხელმძღვანელობის ცვლა იშვიათად ხდება, დაბალია ორგანიზაციების რიგითი წევრების თანამონაწილეობისა და ინკლუზიურობის ხარისხი, მაღალია ემოციური მიბმულობა ლიდერისადმი. მოსალოდნელია შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალი მაჩვენებელი, რაც პარტიული ლანდშაფტისა არამდგრადობის და დიფერენციაციის საფუძველი ხდება.

Sandro Tabatadze

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Political Science

Bachelor's programme, IV semester

Georgian Paradigms of Intra-Party Democracy

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. Georgia is aspiring to classic parliamentary model and its one of the most important signs is a durable party system. Therefore, studying parties and party systems is more relevant nowadays. Although Georgia has more than 200 registered political parties, only some of them are actively involved in the political process.

2. Most Georgian political parties do not use mechanisms of intra-party democracy for organizing. Intra-party is a combination of political actions and procedures which considers equal involvement

of all members of the party in the decision-making process and ensures subordination of the party leader to the contingent activists. It supports the elite recruitment, decentralization, participation and strengthening of accountability and transparency principles within political parties.

3. Hence, on the basis of structural analysis we decided to study the issues ensuring the intra-party democracy within the parliamentary parties. These parties are: "Georgian Dream -Democratic Georgia", "National Forum", "Georgian Conservative Party", "Industry will save Georgia", "Georgian Republican Party", "Free Democrats - Our Georgia", "United National Movement", "New Political Centre - Girchi". On the basis of qualitative (classic), quantitative (content) analysis and their comparative analysis of the provisions of Georgian parliamentary parties, we will study their structure by the proven criteria in political science: institutionalization, centralization, inclusion (J. Maio).

4. Following this study, it will be possible to show the similarities and differences between Georgian parliamentary parties and therefore, to make empirical conclusions. Due to the fact that in most parties the change of leadership is a rare case, the degree of inclusiveness and co-participation of rank-and-file members is low and anachronism to the leader is high. Low rate of intra-party democracy is anticipated what will lead to instability and differentiation of the political landscape.

*თეიმურაზ ბეჟანიძე, ინგა ფუტკარაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერება
ბაკალავრიატი, II სემესტრი*

**ელექტრონული მმართველობა საქართველოში –
მიღწევები და გამოწვევები**

ხელმძღვანელი – პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**

1. 2011 წლიდან საქართველო არის პროექტ "ღია მმართველობის პარტნიორობა"-ს წევრი ქვეყანა, რაც გულისხმობს, რომ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მას აქვს აღებული რამდენიმე ვალდებულება, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს ღია და ეფექტური მმართველობის განხორციელებას. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ელექტრონული მმართველობის განვითარება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2. მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის ეფექტურობის განსაზღვრა, რამდენად ეფექტურია ამ სფეროში უკვე დანერგილი სიახლეები, რამდენად შესაბამისობაშია ელექტრონული მმართველობის იდეა კონკრეტული მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. ვიყენებთ კვლევის კლასიკურ და

ცონტენტ-ანალიზს, კერძოდ ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანოების ვებ-გვერდებზე 6 თვიანი პერიოდის განმავლობაში ვატარებთ დაკვირვებას. კვლევის შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა ელექტრონული კომუნიკაციის ინფორმაციულობის მაღალი, ხოლო ტრანზაქციულობისა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, რაც ხელს უშლის ელექტრონული მმართველობის იდეის განვითარებას საქართველოში.

Teimuraz Bezhanidze, Inga Putkaradze
Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Political Science
Bachelor's programme, II semester

E-Governance in Georgia: Achievements and Challenges

Scientific supervisor – Professor **Malkhaz Matsaberidze**

1. Since 2011, Georgia is among the "Open Government Partnership" member countries what means that it has taken a number of obligations against the international community and their implementation ensures open and effective governance. According to the action plan, the development of e-governance is one of the priorities of the government.

2. The paper aims to determine the quality of the electronic communication in Georgia, how effective are already implemented innovations in this field, and how it is adapted to the municipality's specific population. The study was conducted on the websites of the local self-government, as the executive and representative bodies during 11 months. Analysis of the results of the study revealed a high rate awareness of electronic communication and low rate of transaction and engagement what prevents the development of the idea of e-government in Georgia.

ნუცა წამალაშვილი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი, II სემესტრი

ოტო ფონ ბისმარკის დიპლომატიამ შეძლო შეენარჩუნებინა კალთა ბაღანსი XIX საუკუნის ევროპაში

ხელმძღვანელი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი მაია ტიელიძე

1. XIX საუკუნის ევროპა საკმაოდ არასტაბილური, ომებისკენ მიდრეკილი რეგიონი იყო. ამ პერიოდში დიდი სახელმწიფოები იბრძოდნენ ჰეგემონობისთვის და საფრთხე შეექმნა იქამდე არსებულ ძალთა ბალანსს. სწორედ, ამ დროს პრუსიის კანცლერი ხდება ოტო ფონ ბისმარკი და ევროპის რუკა რადიკალურად იცვლება.

2. ოტო ფონ ბისმარკის დიპლომატიამ, ფაქტობრივად, შეძლო ძალთა ბალანსის შენარჩუნება XIX საუკუნის ევროპაში, რითაც თავიდან ააცილა რეგიონს ფართომასშტაბიანი კონფლიქტები. შესაბამისმა რეფორმებმა ქვეყნაში და დიდ სახელმწიფოებთან დიპლომატიურმა ურთიერთობებმა შესაძლებლობა მისცა პრუსიის კანცლერს რეგიონში მშვიდობა და წესრიგი შეენარჩუნებინა, მცირე ხნით მაინც.

3. როგორ შეძლო პრუსიამ (იმ დროისთვის არც თუ მნიშვნელოვანმა აქტორმა) განესაზღვრა ევროპის ბედი? როგორ მოახერხა ბისმარკმა დიდი სახელმწიფოების შეჩერება? რატომ იყო მისი რეფორმები ასეთი წარმატებული? რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ბისმარკის წარმატებას ევროპაში? რატომ აღმოჩნდნენ დიდი სახელმწიფოების ლიდერები უძლურნი ბისმარკის პოლიტიკის წინაშე?

4. აღნიშნული ნაშრომის მიზანია, გასცეს პასუხები ამ კითხვებს და გამოკვეთოს პრუსიის კანცლერის მნიშვნელობა XIX საუკუნის ევროპისთვის. ჩვენ შევეცდებით დავასახელოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდა ოტო ფონ ბისმარკის წარმატებულ პოლიტიკას. ასევე ყურადღებას გავამახვილებთ ევროპის დიდი სახელმწიფოების როლზე, რომლებმაც ნიადაგი მოამზადეს გაერთიანებული გერმანიის ჩამოყალიბებისთვის.

Nutsa Tsamalashvili

Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

International Relations

Bachelor's programme, II semester

Otto von Bismarck's Diplomacy Maintained the Balance of Power in XIX Century Europe

Scientific supervisor – Master of Humanities **Maia Tielidze**

1. XIX century Europe was very unstable and inclined to wars. In this period, big countries were fighting for hegemony and balance of power faced the threat. At that time, Otto von Bismarck became Minister President of Prussia and Europe's Map changed drastically.

2. Otto von Bismarck's diplomacy, actually, managed to maintain the balance of power in XIX century Europe. Because of this, he avoided big wars in the region. Appropriate reforms in the

1. თანამედროვე დემოკრატიულ მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებების დაცვას. თეორიაში ადამიანის უფლებათა რამდენიმე კატეგორიას ვხვდებით. რა თქმა უნდა ყოველი სახელმწიფოს და მათ შორის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია საყოველთაოდ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს ეგრედ წოდებულ სამოქალაქო უფლებებს და განმარტავს მისი რეალიზაციის წინაპირობებს და საშუალებებს.
2. ქმედუნარიანობა არის სამოქალაქო უფლებათა საკუთარი მოქმედებით განხორციელების საშუალება. ამავე დროს ქმედუნარიანი პირი ვადადებულია სამოქალაქო უფლებები განახორციელოს იმგვარად რომ არ შელახოს სხვათა უფლებები.
3. ქმედუნარიანობით პირი ახდენს იმ უფლებათა მოპოვებას და შემდგომ რეალიზაციას, რომელიც მას კანონით აქვს მინიჭებული. აშკარაა თუ რაოდენ რთული იქნებოდა და როგორ ქაოსს წარმოქმნიდა ყოველდღიური კერძოსამართლებრივი ურთიერთობები თუ კანონით დადგენილი არ იქნებოდა ზღვარი ქმედუნარიან, შეზღუდულ ქმედუნარიან და ქმედუნარო პირებს შორის.
4. ქმედუნარიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გარანტს იმისა, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობა ნამდვილი უფლების საფუძველზე განხორციელდეს. ქმედუნარიანობის განსაზღვრით კანონი გვაძლევს საშუალებას გაგმიჯნოთ სრულწლოვანი პირის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი არასრულწლოვანი პირის მიერ დადებული გარიგების შედეგისაგან.
5. სამოქალაქო კოდექსი ასევე ითავლისწინებს არასრულწლოვანი პირის დაცვის მექანიზმებს არაკეთილსინდისიერი კონტრაგენტებისგან.

6. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და მოახდინა ქმედუნარიანობის ინსტიტუტის მნიშვნელობის კიდევ ერთხელ ხაზგასმა.

Mariam Gogua, Mariam Basiladze
Georgia
Grigol Robakidze University
Batumi Representation
Law
Bachelor's programme, II semester

Legal Capacity as the Means of Realization of Civil Rights

Scientific supervisor – PhD student **Guliko Kazhashvili**

1. Human rights are paid a big attention in the modern democratic world. In the theory there are several categories of human rights. The Constitution of every state guarantees human rights and freedoms. The Civil Code of Georgia recognizes the so called civil rights and defines the means and pre-conditions of their realization.
2. Legal capacity is the ability of a natural person to fully acquire and exercise civil rights and duties of his/her own will and with his/her action. At the same time the person who has legal capacity is obliged to exercise his/her rights in good faith.
3. By legal capacity, a person can acquire and exercise the rights which are guaranteed by law. There would have been the huge chaos in general if we had not have the border between persons with legal capacity, limited legal capacity and no legal capacity.
4. Legal capacity gives us the guarantee that private law relation will be realized based on true right. By the meaning of legal capacity, legislator gave us the ability to differentiate the contract signed by the person of major age from the contract signed by the person of minor age.
5. The Civil Code of Georgia also foresees mechanisms of protecting minor age person from none-entitled bona-fide counteragents.
6. The Constitutional Court of Georgia made a very important decision on persons with no legal capacity and one more time outlined the meaning of legal capacity.

*თათია ნაჭყებია
საქართველო
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართალი
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

ტერორიზმის განვითარების ტენდენციები

ხელმძღვანელი – პროფესორი გივი ლოზუანიძე

1. XXI საუკუნის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ტერორიზმი, იგი ტრანსნაციონალურ დანამატა რიცხვს მიეკუთვნება და გავრცელებულია არა მარტო მესამე სამყაროს სახელმწიფოებში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც.
2. ტერორიზმია ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული თავდასხმა, რომლის მიზანია არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამდე შიშის დანერგვა, შანტაჟი. მაგრამ ტერორისტული აქტი შეიძლება მიმართული იყოს ადამინების წინააღმდეგ, რომლებსაც ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან საერთო არაფერი აქვთ.
3. ტერორიზმი ეს არის სისხლს სამართლებრივი დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323 მუხლიდან 331(2) ჩათვლით სწორედ ამ საკითხს ეხება.
4. თემაში მოცემული იქნება ტერორიზმი ცნების ახსნა, ასევე ისტორია და თანამედროვე ტენდენციები.
5. სწორედ 2001 წლის 11 სექტემბერი გახდა დღე, როდესაც მსოფლიომ მასიური ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს. პირველი, რაც შეიცვალა ტერორიზმისადმი მიდგომაა. თუ ადრე მას იმავე ხერხებით ებრძოდნენ, როგორც სხვა სახის ორგანიზებულ დამნაშავეობას, ახლა მას მსხვერპლთა მასშტაბებიდან გამომდინარე, სამხედრო აგრესიის კვალიფიკაცია მიეცა, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მაშტაბურ ღონისძიებებს.
6. მიუხედავად განხორციელებული ანტიტერორისტული ღონისძიებებისა, სამწუხაროდ დღესაც სერიოზულ პრობლემად რჩება მსოფლიო ტერორიზმი და 21-ე საუკუნეშიც კი ვერ მოინახა ამ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები რაც გაცილებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან.

*Tatia Nachkebia
Georgia
Guram Tavartkiladze Teaching University
Law
Bachelor's programme, VI semester*

1. One of the serious problems of XXI century is terrorism. It belongs to transnational appendages and is spread not only in the third world states, but also in the developed countries.
2. Terrorism is the use of violence to achieve political goals. The aim of armed attack is not to harm opponents with some strategy, but to frighten and blackmail them. Terrorist act may be faced against people, who do not have anything in common with terrorists' political position.
3. Terrorism is the crime of penal law. The Articles 323 -331 (2) of the Criminal Code of Georgia concerns namely this topic.
4. The history of terrorism and the modern tendencies are discussed in the paper.
5. September 11, 2001 was the day when the world began to fight against terrorism. The first thing that changed was the approach to terrorism. If before this date it was fought as any organized criminality, now it is given the qualification of military aggression.
6. Despite of antiterrorist arrangements, unfortunately, world terrorism is a very serious problem in XXI century and no final methods of solving this problem could be found. It requires more effort from the world community.

*ვალერი ხუციშვილი, დავით ტორთაშვილი
საქართველო
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სამართალი
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

**აბორტი, როგორც დაკანონებული მკვლელობა
(სამართლებრივი ასპექტები)**

ხელმძღვანელი – იოსებ გაბარაევი

1. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია აბორტის იურიდიული მხარე, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში, რაც მოიცავს აბორტის სახეების, მისი გამომწვევი მიზეზების და აბორტის შედეგად გამოწვეული პრობლემების ანალიზს, მათ შორის, ასევე რელიგიურ და სამედიცინო ასპექტებს ზოგადად.

2. განსახილველი საკითხი ეხება ასევე აბორტის, როგორც არასასურველი და სასურველი მოვლენის ზოგად ისტორიულ, ასევე სტატისტიკურ და დინამიკურ ანალიზს საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით.
3. მოცემულია მსჯელობა, თუ რამდენად უწყობს ხელს ფემინიზმი, როგორც მსოფლმხედველობა აბორტის რიცხოვნობის ზრდას ქალთა უფლებების დაცვის ღონისძიებით.
4. ნაშრომში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოს პრაქტიკა დედის და ჩანასახის სიცოცხლის უფლებასთან ურთიერთმიმართებაში.
5. შესწავლილი და გაანალიზებულია აბორტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციები; შემოთავაზებულია შესაბამისი არგუმენტებით გამყარებული მოსაზრებები, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა აბორტთან დაკავშირებით, დედისა და ჩანასახის უფლებების დაბალანსების კუთხით.
6. თემაში განხილულია აბორტის დინამიკის შემცირების გზები და მასთან ბრძოლის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გამოცდილება.
7. ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და განსახილველი საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

Valeri Khutsishvili, Davit Toroshelidze
Georgia
Gori State Teaching University
Law
Bachelor's programme, IV semester

Abortion as a Legalised Homicide (Legal Aspects)

Scientific supervisor – **Ioseb Gabaraevi**

1. This paper presents legal aspects of abortion, in both, domestic and international legal framework which includes the types of abortion, analysis of abortion and problems caused as a result of abortion, including religious and medical aspects in general.
2. The discussing topic deals with the issue of abortions, as a common historical, static and dynamic analysis of desired or undesired factors of abortion in Georgia and throughout the world.
3. The discussion is given on how feminism, as an ideology, promotes increased number of abortions by slogans on protection of women's rights.

4. The paper provides an overview of the practice of European Court of Human Rights in relation of mother to foetus right to life.

5. Positions of abortion supporters and opponents are studied and analysed. Opinions, with appropriate arguments and ideas are proposed about state policy regarding abortion, in terms of balancing mothers and foetus rights.

6. The paper discusses the ways to reduce abortion dynamics and international and national experiences.

7. The article is suitable for students of faculty of law and other interested parties.

მალხაზ ჯანიაშვილი
საქართველო
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართალი
ბაკალავრიატი, VI სემესტრი

**ვადგადაცვილებული საბადასახადო დავალიანებათა
იძულებითი გადახდევინება**

ხელმძღვანელი – პროფესორი ამირან თავართქილაძე

1. გადასახადების დროული გადახდა პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებული სიმძაფრით ის ჩანს განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც სულ 25 წელია რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ჩამოყალიბდა და გადასახადების გადახდის საკანონმდებლო რეგულირებაც ჯერ კიდევ ბევრ სრულყოფას საჭიროებს.

2. საქართველოს სინამდვილეში გადაუხდელი, ვადაგადაცილებული დავალიანებების ოდენობა თითქმის 20 მილიარდ ლარს აღარბებს, რომელიც ქვეყნის ორი წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე მეტია. ანუ პრობლემა არის და მას გადაწყვეტა სჭირდება.

3. მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ ანგარიშებში საქართველოს შესახებ უკვე 15 წელია თითქმის უცვლელად მოცემულია შეფასება - “საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია საგადასახადო კულტურის დონე, როგორც მეწარმე სუბიექტების, ასევე გადასახადის ამკრეფთა მხრიდან, გადამხდელთა ერთი ნაწილი გაუთვითცნობიერებულია გადასახადების რაობაში, გადასახადის გაანგარიშებასა და გადახდახდის წესებში, არ და ვერ იხდის გადასახადებს, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირების მოქნილი ინსტრუმენტების უქონლობის გამო ვადაგადაცილებული დავალიანებათა დიდი ნაწილი ამოუღებელი რჩება.” შეფასება მკაცრია და საგულისხმოა, რამდენადაც წლიდან წლამდე ვითარების გაუმჯობესება ვერ მოხდა.

4. აღსანიშნავია ის, რომ საგადასახადო კოდექსის 238 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად – “საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო”, რაც სუბიექტური გადაწყვეტილებების საფუძველი ხდება და მნიშვნელოვანი ხარვეზია, რადგან არ არის განსაზღვრული იძულებითი გადახდევინების რიგითობის რაიმე სტანდარტი და წესი. ამასთან, ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის მე-6 მუხლის იმპერატიულ დებულებას – “გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე”. ვფიქრობ ეს და სხვა რიგი დებულებანი გადახედვას და ჩასწორებას მოითხოვს.

Malkhaz Janiashvili
Georgia
Guram Tavartkiladze Teaching University
Law
Bachelor’s programme, VI semester

Forced Payment of Delinquent Tax Debts

Scientific supervisor – Professor **Amiran Tavartkiladze**

1. Timely payment of taxes is a worldwide problem. This is especially acutely observed in developing countries, including Post-Socialist and Post-Soviet Republics where market economic principles were formed nearly twenty years ago and taxes legislation regulation still needs a great improvement.
2. In Georgian reality, the amount of unpaid, delinquent debts almost exceeds 20 billion GEL which is more than two-year state budget of a country. Thus, it is a great problem and needs to be solved.
3. It is already 15 year that the annual reports of the World Bank almost invariably state the following evaluation: “In Georgia, the level of tax culture is still low from entrepreneurs as well as from tax collectors. One part of payers are not aware of the nature of taxes, calculation and tax rules; they do not and cannot pay taxes, but due to lack of tax administration flexible instruments, large part of delinquent debts are not withdrawn”. Estimation is severe and significant, as improvement of the situation cannot be saved from year to year.
4. It should be mentioned that according to Tax Code Article 238, part 2 – “Tax authority selects sequence of tax enforcement measures” that is the basis of subjective decisions and is a significant blemish, because any standard or rule of the sequence of forced payment is not determined. Herewith, it contradicts the imperative provisions of the Article 6 of the same code – “tax is obligatory, unconditional cash deposit in the budget that is paid by a tax payer, proceeding from tax mandatory, non-equivalent and gratuitous nature”. I think that this and other set of provisions require overview and amendment.

აიდა ნასიბკიზი
საქართველო
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართალი
ბაკალავრიატი, VI სემესტრი

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მნიშვნელობა და თავისებურებანი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი **ნიკოლოზ ფიცხელაური**

1. ანდერძი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და პირის უკანასკნელ ნება-სურვილს ნიშნავს. თანავედროვე კანონმდებლობაში ანდერძი არის მამკვიდრებლის ნების გამოხატვის აქტი სიკვდილის შემთხვევაში ქონების განკარგვის თაობაზე და ეს ნება იმდენად დაცულია, რომ არავის აქვს უფლება ზეგავლენა მოახდინოს მასზე.
2. ანდერძი უძველესი დროიდან გვხვდება. ჯერ კიდევ ძველი რომის XII ტაბულის კანონებიდან მოყოლებული დღემდე, ყოველთვის აქტუალური იყო ანდერძის თავისუფლების ხარისხი.
3. საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ანდერძთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების დახვეწა, შესწავლა და ანალიზი, რაც თავად მემკვიდრეობასთან და სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სირთულეებით არის განპირობებული.
4. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ აღნიშნული ხშირად ხდება ოჯახის წევრებს შორის მწვავე კონფლიქტის მიზეზი, რაც თავის მხრივ სუსტი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია.
5. ნაშრომში განვიხილეთ საქართველოში ანდერძის შედგენის თავისებურებანი, მისი სახეები, ანდერძის თავისუფლების ხარისხის შეზღუდვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული პრობლემები.

Aida Nasibkizi
Georgia
Guram Tavartkiladze Teaching University
Law
Bachelor's programme, VI semester

Features and Characteristics of Will (Heritage)

Scientific supervisor – Assistant Professor **Nikoloz Pitskelauri**

1. Will (heritage) originally is a Persian word and means someone's last will. Contemporary law identifies the will as the desire of managing the property (heritage) after the death of a decedent,

and the will is secured as long as nobody can have influence on it. Due to the high resolution of the principle of the freedom of will, it is called the imperative of a decedent.

2. Will is originated from the ancient times. The level of will freedom as well as the security of a person's desire has always been a relevant issue, even starting from the Ancient Roman Law XII tab until today. Everything this underlines the importance and the role of heritage.

3. In accordance to the development of public relations, there is an increasing trend to improve, study and analyze the legal issues related to will that mostly cause difficulties.

4. The problems related to heritage are crucially important as mostly they may cause the conflict among family members and in some cases end up with a crime. This, in turn, expresses the weak legal environment. In most cases people do not write a will according to legal issues that cause problems after death.

5. The work includes the features and characteristics of will, the types of will and the problems related to the restriction of the freedom of will. We raised problems related to the laws; we have studied the experience of foreign countries and analyzed the progressive legal outcomes that are a result of developing alternative mechanisms of heritage institutions.

*ქეთევან კილაძე
საქართველო
ვორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სამართალი
ბაკალავრიატი, II სემესტრი*

საცილო და უცილო გარიგებები

ხელმძღვანელი – პროფესორი ივანე ბალახაშვილი

1. ცალმხრივი გარიგებები – ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულებიდან გასვლა, ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება. მრავალმხრივი გარიგებებია – ხელშეკრულება მხარეთა ნების საფუძველზე. სრულწლოვანი ქმედუნარო პირის მიერ ყოველდღიურად დადებული მცირე თანხით, განიხილება ძალმოსილად შესრულების მიმართ, ხოლო შეთანხმების შემთხვევაში საპირისპირო შესრულებად. სამართლის ნორმის მიზანია სულიერად ავადმყოფი ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობით და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება.

2. ნეიტრალური გარიგებები, რომლებიც სამართლებრივად არც სარგებელიანია არც ზიანის მომტანი, შეიძლება დაიდოს შეზღუდული ქმედუნარიანი პირის მიერ დამოუკიდებლად. სამართლებრივი ძალის არმქონეა ცალმხრივი გარიგება. როდესაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.

გამონაკლისია ის გარიგებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლო თანხმობა.

3. მოწინებითი გარიგებები – ბათილია ისეთი გარიგება, რომელიც გაკეთებულია მოსაჩვენებლად და მოწინებითი გარიგებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი ნორმები.

4. შეცდომით დადებული გარიგება – ითვლება ბათილად, როცა პირს უნდოდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რაზეც გამოთქვა თავისი თანხმობა.

5. დასკვნა: გარიგება მოქმედების ერთობლიობაა, როდესაც ერთი მოქმედება გამოხატავს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევისაკენ მიმართულ ნების გამოვლენას.

Ketevan Kiladze
Georgia
Gori State Teaching University
Law
Bachelor's programme, II level

Voidable and Void Deals

Scientific supervisor – Professor **Ivane Balakhashvili**

1. Unilateral deals – termination of the contract, leaving the contract, leaving the property. Multilateral deals - the contract on the basis of parties' will. The deal with amount of money by an adult capable person is discussed as execution but in case of contract it is discussed as the opposite execution. The aim of the law is improving people's legal and social conditions.

2. Neutral deals are neither beneficial nor harmful legally and can be made by the disabled independently. The contract made by a minor without a legal representative is illegal. The exception is the situation when the approval of Family Affairs Court is necessary.

3. False deals are made for making deals falsely, and false deals cover other deals. In this case operating norms are used.

4. Deal by mistake is a kind of deal when a person wanted to make a different deal and mistakenly decided on the other.

5. Conclusion: A deal is a union of actions when one action aims to achieve legal results.

სოფიკო ჩიტიშვილი, თაია წიკლაური
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი, IV სემესტრი

რუსეთის მიერ ყირიმის დაკავების სამართლებრივი ანალიზი

ხელმძღვანელი – კონსტანტინე შუბოთიძე

1. რუსეთის მიერ ყირიმის დაკავება მსოფლიო ყურადღების ცენტში მოექცა. დღეს ყირიმის ნახევარკუნძულზე შექმნილი სიტუაცია მიუღებელია, როგორც უკრაინის ხელისუფლებისათვის, ასევე მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის. უკრაინის ხელისუფლების განცხადებით, რუსეთის ასეთი ქმედება უკანონოა და ნდობას არ იმსახურებს, რადგან ამით დაირღვა საერთაშორისო სამართლის არაერთი პრინციპი. თუმცა კონფლიქტის მეორე მხარე ყირიმის დაკავებას სამართლიანად მიიჩნევს. ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ყირიმი ისტორიულად რუსეთს ეკუთვნის, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე უსამართლოდ მოექცა და ქვეყნის რუსულენოვან მოსახლეობას უკრაინის არალეგიტიმური ხელისუფლების მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა.

2. ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ ამ კონფლიქტის იურიდიულ მხარესა და მასში ჩაბმულ მხარეთა პოზიციების სამართლებრივ ასპექტებს, როგორც ისტორიულ ასევე კონვენციუნალურ საფუძველებს. მათ შორის ყურადღებას გავამახვილებთ 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმსა და ყირიმის ტერიტორიაზე ჩატარებულ რეფერენდუმზე, რომლის შედეგებმაც გაამყარა რუსეთის ქმედების მოტივი, თუმცა ქვეყნისგან ტერიტორიის ამგვარი გამოყოფა არალეგიტიმურად ცხადდება უკრაინის კონსტიტუციის მიხედვით. სწორედ ამიტომ, კონფლიქტის იურიდიული ჩარჩოს განხილვისას ვიხელმძღვანელებთ, როგორც უკრაინის კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო სამართლის წესებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებით.

3. ყირიმის დაკავების მოტივისა და სამართლებრივი ასპექტების შესასწავლად გამოვიყენებთ თვისებრივ მეთოდს. იმისათვის, რომ გავცნოთ ამ ტერიტორიის ისტორიულ საფუძველსა და იმ არგუმენტებს, რომლებსაც დაპირისპირებული მხარეები იშველიებენ თავიანთი პოზიციების გასამყარებლად, დაგვემარება დოკუმენტების ტრადიციული ანალიზი. როგორც აღვნიშნეთ, ყირიმის დაკავების სამართლებრივ ასპექტზე მსჯელობისას ყურადღებას გავამახვილებთ კონფლიქტის ნეიტრალური მხარის მოსაზრებებზე და გამოვიყენებთ ექსპერტთა გამოკითხვის მეთოდს.

4. უკრაინა-რუსეთის კონფლიქტსა და ყირიმის დაკავებას არა მარტო საქართველოსთვის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მხარეთა შორის დაპირისპირება იზრდება და ამ ტერიტორიის დაკავებაზე ქვეყნების მოსაზრებებიც არაერთსულოვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, რომ ვიკვლიოთ რუსეთის მიერ ყირიმის დაკავება იურიდიულ ჭრილში, აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში.

Sopiko Chitishvili, Taia Tsiklauri
Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
International Relations
Bachelor's programme, IV semester

Legal Analysis of Crimea's Annexation by Russia

Scientific supervisor – **Konstantine Shubitidze**

1. Crimea's annexation by Russia captured world's attention. Today's condition of Crimean peninsula is unacceptable for Ukraine's government. This position is shared by the majority of the population. According to the statement made by Ukraine's government, Russia's actions are illegal and do not deserve trust from international community, because these actions breached many principles of international law. So, the other side of the conflict considers that Crimea's annexation was fair. As Vladimir Putin states, Crimea is Russia's historic part that unfairly got under Ukraine's control and the ethnic Russian citizens of Ukraine are under the threat from the state's illegitimate authority.
2. The paper discusses juridical approach to the conflict and the legal aspects of the both side's positions, their historic and conventional bases. Mostly we will direct attention to Budapest's Memorandum of 1994 and the referendum which took place in Crimea. The results of this referendum reinforced the motives of Russian's actions, but territorial separation from the country like this is considered illegal according to Ukraine's constitution. So while discussing law frames, we will use Ukraine's constitution, also rules of international law and charters of international organizations.
3. We are going to use the qualitative method to study the motives of occupying Crimea and its jurisdictional aspects. The traditional analysis of documents will help us to obtain knowledge of historical bases of the territory and become aware of the arguments the rivals used to strengthen their positions. As we have already mentioned, in the process of discussing the jurisdictional aspects of occupying Crimea, we mainly focus on the opinion of the neutral side, therefore, we will use the method of experts surveying.
4. The Ukraine-Russia conflict and Crimea's annexation is very important not only for Georgia, but also for international community. Conflict between these two sides is growing and other countries have different positions about this process. So, it is important for us to research juridical approach to occupying Crimea by Russia within the frame of this conference.

ეკონომიკისა და ბიზნესის სექცია
Section of Economics and Business

რუსუდან ტარტარაშვილი

საქართველო

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ტურიზმი

ბაკალავრიატი, VIII სემესტრი

**რელიგიური ტურიზმის განვითარების თავისებურებანი
ისტორიულ ჰერეთში (საინგილო)**

ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარი გრძელიშვილი

1. დღესდღეობით რელიგიური ტურიზმი, ტურისტულ საქმიანობაში ერთერთი ყველაზე უფრო აქტიურად განვითარებადი მიმართულებაა. სწორედ, რელიგიური ტურიზმის მიმართ მძლავრი ინტერესი, ხდის მას სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად.
2. ჰერეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. აზერბაიჯანს საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა გადასცა. დღეისათვის საინგილოს ტერიტორია მოიცავს ბელაქნის, ზაქათლისა და კახის რაიონებს, სადაც 7 ათასამდე ქართველი ცხოვრობს.
3. აქ მდებარეობს მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ეკლესიები: ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია (XIII-XIV ს.ს), გიშის საყდარი (ძეგლის აგებისა და ნგრევა-განახლების პირველ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს VI-XI ს.ს. ხოლო მეორე პერიოდს ვაკუთვნებთ XVII ს-დან ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე), კახის წმინდა გიორგის ეკლესია (აგებულია, დაახლოებით XVIII ს. პირველ ნახევარში), ალიბეგლოს წმ. ნინოს ეკლესია (1850-1855.წ.წ), კახის ალავედის ეკლესია (XIX ს. მიწურული), კასრის საყდარი (იგი აგებულია საქართველოს მეფე არჩილის მიერ VIII ს-ში), ყუმის ბაზილიკა (VI-VII ს.ს), ლექართის მონასტერი (დაახლოებით 1310 წ.).

Rusudan Tartarashvili

Georgia

Grigol Robakidze University

Tourism

Bachelor's programme, VIII semester

Peculiarities of the Development of Religious Tourism in Historical Hereti (Saingilo)

Scientific supervisor - Professor Nodar Grdzlishvili

1. Nowadays, religious tourism is one of the most actively developed directions of tourism. Namely strong interest in religious tourism makes it a significant factor for political and social stability.

2. Hereti is located in the south-eastern part of Georgia, in the current territory of Azerbaijan. This part of Georgia was given to Azerbaijan by Soviet Russia in 1921. Nowadays, Saingilo's territory consists of regions of Belakani, Zakatala and Kakhi, where about 7 thousand Georgians live.

3. Here are located historically and culturally important monuments and temples: Kurmukhi St. George's Church (XIII-XIV centuries), Gishi church (the first period for building, destruction and renewal of this monuments can be considered VI-XI centuries; the second period can be considered from XVII to the second half of XIX centuries), Kakhi St. George Church (built around the first half of XVIII century), Alibeglo St. Nino Church (1850-1855), Kakhi Alavedi's Church (late XIX c.), Barrel church (it was built by King Archil in VIII century), Kumis basilica (VI-VII centuries), Lekarti monastery (approximately 1310).

*მარიამ წვერიანაშვილი
საქართველო
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
ფინანსები
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

**უძრავი ძონების ეკონომიკა, სიმდიდრე და
ბამოუყენებელი ძონებრივი სიკეთე**

ხელმძღვანელი – პროფესორი ამირან თავართქილაძე

1. უძრავი ძონება არის ბუნებით მონიჭებული ძონებრივი სიკეთე, რომლის ფლობა სარგებლობა და განკარგვა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. საუკუნეების მანძილზე სწორედ მიწა წარმოადგენდა ადამიანის ძონების განმსაზღვრელ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელს. მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო თუ როგორ მოიხმარდა ადამიანი, ოჯახი, ტომი და ქვეყანა ამ მიწას. სწორედ მიწაზე მუშაობის ცოდნა და გამოცდილება იყო ადამიანის ძონებრივი და ინტელექტუალური ცენზის და მდგომარეობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი.

3. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველომ ხმამაღლა გამოხატა ქვეყნის მოსახლეობის ინტერესი დასავლური, ევროპული ღირებულებების პრიმატის, ეკონომიკის ყველა სფეროსა და სეგმენტის (მათ შორის უძრავი ძონების) ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების თაობაზე.

Mariam Tsverianashvili
Georgia
Guram Tavartkildze Teaching University
Finance
Bachelor's programme, VI semester

Real Estate Economics, Wealth and Unutilized Property

Scientific supervisor - Professor **Amiran Tavartkiladze**

1. Real Estate is the property provided by the nature that can be owned, utilized and administered by any physical and legal entity.
2. For centuries, land was one of the main components defining a human's property. But the most important was how humans, family, tribe and country could utilize the land. The knowledge and experience of working with land was the determiner and indicator of human intellectual and property qualification.
3. After Signing the EU Association Agreement, Georgia expressed its population's desire to reach and share Western, European values and standards set in all spheres and segments of economics (real estate among them).

Julia Kozłowska
Poland
Lazarski University
Economics
Bachelor' programme, II semester

The Stock Market in Poland

Scientific supervisor – Professor **Tamar Gamsakhurdia**

1. In Poland there are over 10 000 joint-stock companies out of which the overwhelming number are private companies whose shares may not be offered to the public. To be able to offer the public sale of shares, the company must become a public company, obtaining the consent of the Financial Supervision Authority.

2. With the approval of the Stock Exchange in Warsaw shares amended by the company are traded. The Management Board takes into account the financial situation of the company, its development prospects, qualifications and experience of the management company and the security of trading.

3. The Warsaw Stock Exchange is a stock exchange located in Warsaw. It has a capitalization of 283 billion USD and is a member of the World Federation of Exchanges and the Federation of European Securities Exchanges.

4. WSE organizes trading in financial instruments and is responsible for its security, development and promotion, and provides:

- concentration of supply and demand for financial instruments;
- safe and efficient conduct of the transaction;
- dissemination of information about courses and transactions in financial instruments.

5. In addition to the traditional stock market, Warsaw Stock Exchange is leading alternative trading system of the shares, called the NewConnect market, which has been operating since 2007 and is designed for young and small companies with high growth potential. They are also riskier stocks. At the end of February 2015, NewConnect listed more than 420 companies with a total capitalization of just over 9 billion Zł.

*იულია კოზლოვსკა
პოლონეთი
ლაზარსკის უნივერსიტეტი
ეკონომიკა
ბაკალავრიატი, II სემესტრი*

პოლონეთის საფონდო ბირჟა

ხელმძღვანელი – პროფესორი **თამარ გამსახურდია**

1. პოლონეთში 10000-ზე მეტი სააქციო საზოგადოებაა. უმეტესი მათგანი კერძო მფლობელობაშია. მათი აქციები ხალხისთვის ხელმიუწვდომელია. იმისათვის, რომ ხალხმა შეძლოს აქციების შექენა, აუცილებელია კომპანიამ მოიპოვოს ღია აქციონერული საზოგადოების სტატუსი, რასაც, თავის მხრივ, ესაჭიროება ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს თანხმობა.

2. მას შემდეგ, რაც ვარშავის საფონდო ბირჟა გასცემს თანხმობას, კომპანიები მოახდენენ აქციებზე ფასების კორექტირებას და გამოუშვებენ გასაყიდად. მმართველთა საბჭო ითვალისწინებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, მისი განვითარების პერსპექტივებს, კვალიფიკაციას, გამოცდილებასა და სავაჭრო უსაფრთხოებას.

3. ვარშავის საფონდო ბირჟა ვარშავაშია. მისი კაპიტალი შეადგენს 283 მილიარდ აშშ დოლარს, არის მსოფლიო ბირჟათა ფედერაციისა და ევროპის საფონდო ბირჟათა ფედერაციის წევრი.

4. ვარშავის საფონდო ბირჟა გაყიდვებს აწეობს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, პასუხისმგებელია მის უსაფრთხოებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს:

- ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებასა და გამოყენებას;
- უსაფრთხო და ეფექტურ ტრანსაქციებს;
- ინფორმაციის გავრცელებას ფასიანი ფინანსური ინსტრუმენტების კურსისა და ტრანსაქციების შესახებ.

5. გარდა ტრადიციული საფონდო ბირჟისა, ვარშავის საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდების ალტერნატიული სისტემით გაყიდვასაც აწარმოებს, რომელსაც NewConnec მარკეტი ეწოდება, დაარსებულია 2007 წელს და მიზნად ისახავს დიდი პოტენციალის მქონე ახლად შექმნილი და მცირე კომპანიების ხელშეწყობას. 2015 წლის ბოლოს NewConnec მარკეტი ითვლიდა 420-ზე მეტ კომპანიას, რომელთა კაპიტალი 9 მილიარდ ზლოტს შეადგენდა.

*მარიამ ლეკიაშვილი, ანა ურუშაძე
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

ეპრო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე

1. ზოგადად, ეკონომიკა, ბერძნული სიტყვა, ქართულად განიმარტება, როგორც საოჯახო მმართველობა.

2. სახელმწიფოს ღერძი არის თავისუფალი ადამიანი, ეკონომიკური სისტემისა კი – ეკონომიკური თავისუფლება.

3. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

4. საკუთრება და თავისუფლება ადამიანური არსებობის უპირველესი და ყველაზე მთავარი პირობაა. ადამიანი, როგორც მოაზროვნე, სოციალური, პოლიტიკური თუ

რელიგიური არსება, ასეთად იქცა მხოლოდ მას შემდეგ რაც შეძლო ამ ორი ცნების მოპოვება და გააზრება.

5. კერძო საკუთრება, საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს და თითოეული მათგანი ჩაითვლება ამ ქონების თანამესაკუთრედ, უკვე დიდი ხანია აღიარებულია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობად.

6. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო საკუთრების დამტკიცების კუთხით პრობლემები წარმოიქმნება და ადამიანის ეს ერთერთი ფუნდამენტური უფლება ილახება. ამას ცხადყოფს, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება, რომლის მიხედვითაც, კერძო საკუთრების სახელმწიფოზე ჩუქების ტენდენციამ მასობრივი სახე 2006-2007 წლებში მიიღო და დღემდე გრძელდება განსაკუთრებით ტურისტულ ზონებში.

7. ჩვენი კვლევა შეეხება რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც კერძო საკუთრების უფლება შეიზღუდა და ამით დაირღვა ეკონომიკური თავისუფლება. ანალიზის საფუძველზე ჩვენ მიზნად ვისახავთ დავადგინოთ თუ როგორაა დაცული ჩვენს ქვეყანაში ერთერთი ფუნდამენტური უფლება - კერძო საკუთრება. გამოვიყენებთ არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს, ასევე ეკონომიკური სფეროს ექსპერტების შეფასებებსა და სხვადასხვა სამართლებრივ მხარეს.

Mariam Lekiasvili, Ana Urushadze

Georgia

Ivane Jabakhishvili Tbilisi State University

Journalism and Mass Communication

Bachelor's programme, VI semester

Private Property and Economic Freedom

Scientific supervisor – Associate Professor **Maia Toradze**

1. In general, economy, the Greek word, in English is defined as a family management.
2. The country's axis is a free man, and the economic system's - economic freedom.
3. Economic freedom is particularly important to the market system of the type of transition economy countries.
4. Property and freedom is very important for the existence of a human being. A human became a social, political or religious creature just only after managing to gain the understanding of these two concepts.

5. Private ownership, unlike joint ownership in which the property is jointly owned by several persons and each of them can be considered as co-owners of the property, has long been recognized as a precondition for economic development.

6. However, there are cases when problems arise in terms of the private property and human rights are violated.

7. Our research is about several particular cases when the right of private property is limited and the economic freedom is violated. On the base of their analysis, we aim to ascertain private property in our country. We will use NGO studies as well as experts' evaluations and in various legal parties.

*ნიკა კოლუა
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მარკეტინგი
ბაკალავრიატი, II სემესტრი*

ახალი საჯარო მენეჯმენტის პარადიგმა საქართველოში

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ვასილ კიკუტაძე**

1. ახალი საჯარო მენეჯმენტი არის ადმინისტრირების შესახებ ინტერდისციპლინარული კვლევის ასპექტების ნაერთი, რომელიც გულისხმობს ადამიანური რესურსების, ფინანსების, ფიზიკური კაპიტალის, საინფორმაციო და პოლიტიკური რესურსების მართვის პროცესში დაგეგმვის, ორგანიზაციის და კონტრილის ფუნქციების გამოგენებას. ის 20-ე საუკუნის 70-იანი კლების ბოლოს 80-იანი წლების დასაწყისში ყალიბდება, როცა საზოგადოების ადმინისტრირების ახალი შეხედულებები დაუპირისპირდა საჯარო სექტორის ადმინისტრირების კონცეფციას.

2. ახალი საჯარო მენეჯმენტის იდეისგაღვივება უკავშირდება ტექნერისა და რეიგანის მიერ გატარებულს ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკას. კერძოდ საზოგადოების უკმაყოფილება იზრდება სახელმწიფოს საზოგადოებრივ პროცესებში ჩარევის ძრდის პარადელურად, რამაც საზოგადოების მართვის ეფექტიან პროცესებზე და ხელი შეუწყო "მოქნილი სახელმწიფოს" იდეას.

3. საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის განვითარება 3 ეტაპად იყოფა. პირველი პერიოდი - 1991-1997 წლები. აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ქვეყანაში საზოგადოებრივი სისტემების ღია კრიზისით. სახელმწიფო სტრუქტურები ატრიურად ეტეოდნენ კერძო სექტორის ფუნქციონირებაში, რაც კორუფციისა და კრიმინალის ზრდას უწყობდა ხელს. მოცემული პერიოდის ბოლოს წლებში აღინიშნა კრიმინალთან ბრძოლის ფორმალური გააქტიურება. მეორე პერიოდი - 1998-2003 წლები. 1998 წლიდან ქვეყანაში იწყება რეფორმების გარკვეული ტალღა, იქმნება სამართლებრივი დოკუმენტები, სისტემები საჯარო და კერძო სექტორისათვის. მოქმედებაში მოდის

საგადასახადო სისტემა, დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმირება, 2001 წელს დაიწყო რეფორმები განათლების სფეროშიც. მართვის პროცესი დეცენტრალიზირებული ხდება, ფუნქციონირებას იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობები, აქტიურდება სამოქალაქო სექტორი.მესამე პერიოდი - 2004 წლიდან დღემდე. 2004 წლიდან დაიწყო და განხორციელდა შიდა ინსტიტუციური ცვლილებები, შეიქმნა ახალი კონსოლიდირებული ინსტიტუციები, გატარდა რეფორმები საბიუჯეტო სტრუქტურებში, განხორციელდა აღმასრულებელი სტრუქტურების რესტრუქტურისაცია, საჯარო სექტორის ფუნქციებისა და როლის სისტემური გადაფასება, მომსახურებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის ამაღლება.

4. საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პარადიგმების განხორციელების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ქვეყანაში უამრავი რეფორმა განხორციელდა, თუმცა საჯარო მმართველობის სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და დღესაც განიცდის რეფორმას.

Nika Koghua

Georgia

Grigol Robakidze University

Marketing

Bachelor's programme, II semester

Paradigm of New Public Management in Georgia

Scientific supervisor – Associate Professor **Vasil Kikutadze**

1. New Public Management is viewed as administration through a combination of aspects of interdisciplinary research what means using planning, organizing and controlling functions while managing human resources, finances, physical capital, informational and political resources. The idea appeared in the late 70s and at the beginning of the 80s, when emphasis from traditional public administration shifted to the new approaches of public administration

2. The first practices of New Public Management emerged after Thatcher and Reagan had criticized economic policy. In particular, dissatisfaction of society increases in accordance with the rate of state interference in public sector; consequently, it leads to effective processes in public administration and helps to develop the idea of “Flexible State”.

3. In Georgia, the development of the NPM is divided into 3 periods. The first one (1991-1997) was characterized as a crisis in public system; in fact, the more people got involved in public affairs the more discontented they were. State structures actively interfered in the functioning of private sector which, as a result, caused growth of corruption and crime; at the end of the period formal crime fighting processes became active. The second period is 1998-2003. In 1998, the series of reforms were implemented in the juridical system. New legal documents were created and systems for public and private sectors were introduced. Internal revenue service began to operate. In 2001,

more reforms were carried out in education. Moreover, the unified management system changed into a decentralized system, public sector became more active. The third period - 2004 - up to present is distinguished for developing inner-institutional changes. New consolidated institutions have been established, series of reforms have been carried out in state budget structures, executive structures have been restructured, the role and function of public sector has increased and resulted in growth of quality of service and goods provided.

4. In Georgia, the NPM paradigm implementing process is on its slow, but gradual way. However, a lot of reforms have been carried out since the country obtained its independence; public governing system is still being formed.

*ნინო ესიავა
საქართველო
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
ბაკალავრიატი, VI სემესტრი*

აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და საქართველო

ხელმძღვანელი – პროფესორი ამირან თავართქილაძე

1. აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და საქართველო რეზიუმე 2017 წლისათვის, მოსალოდნელია მსოფლიო უპრეცედენტო სავაჭრო შეთანხმების ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება.

2. ეს უკანასკნელი, საბაჟო ტარიფების, კვოტების, სხვა არასატარიფო ბარიერების გარეშე ვაჭრობას და ინვესტიციების სექტორში შეღავათებს ისახავს მიზნად. ამ დროისთვის აშშ და ევროკავშირი ერთმანეთის უდიდესი სავაჭრო პარტნიორები არიან, რომლებიც ერთად მსოფლიოს ეკონომიკური აქტივობის 50%-სა და გლობალური ვაჭრობის 30%-ს ქმნიან. ორ წამყვან ეკონომიკას შორის საქონლისა და სერვისის ბრუნვა ყოველდღიურად 2,7 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება, საერთო ინვესტიციების მოცულობა კი 3,5 ტრილიონ ამერიკულ დოლარს აღწევს.

3. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, აქამდე საკმაოდ რთულად შეღწევადი ამერიკული ბაზარი ქართული კომპანიებისთვის ღია გახდება, რამდენადაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. საგულისხმოა, რომ პარალელურად, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ამერიკულ ინვესტიციებს საქართველოს

ბაზარზე შემოსვლა მნიშვნელოვნად გაუმარტივდება. რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას მნიშვნელოვნად დააჩქარებს.

Nino Esiava
Georgia
Guram Tavartkiladze Teaching University
Business Administration
Bachelor's programme, VI semester

US-EU Free Trade Agreement and Georgia

Scientific supervisor – Professor **Amiran Tavartkiladze**

1. By 2017, an unprecedented world trade agreement between the United States and the European Union on a free trade is expected to be signed.
2. The latter is aimed at trade without tariffs, quotas and other non-tariff barriers and benefits in the investment sector. At the moment, the US and the European Union are each other's largest trading partners that account for 50% of the world's economic activity and 30% of global trade. A daily turnover of goods and services between two leading economies exceeds 2.7 billion US dollars, whereas the total investment volume amounts to 3.5 trillion US dollars.
ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ირაკლი ამირანაშვილი**

1. პირის ღრუს ჰიგიენა ჯანმრთელობის საწინდარია, კარიესი არა მხოლოდ კბილის მტერია. მას ასევე შეუძლია დააზიანოს შინაგანი ორგანოები, გამოიწვიოს ორგანიზმის თავდაცვითი ფუნქციის მოშლა.
2. კბილებს და ღრძილების ჯანმრთელობა უდაოდ დაკავშირებულია პირის ღრუს ჰიგიენასთან. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების მოსაზრება სხვადასხვაგვარია
3. კბილების ყოველდღიური წმენა და ღრძილების მასაჟი აუმჯობესებს პაროდონტის ქსოვილში სისხლის მიმოქცევას, პულპის სისხლმომარაგებას და მატულობს ოდონტობლასტების ტროფიკა.
4. პირის ღრუს მოვლის ორ ძირითად ფორმას გამოყოფენ: ინდივიდუალურს, რომელიც ითვალისწინებს თითოეული ადამიანის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენებით კბილებისა და ღრძილების ზედაპირებიდან ნადებების რეგულარულად მოცილებას, და პროფესიულს, რომელიც სრულდება სპეციალისტების მიერ შესაბამისი ინსტრუმენტების, აპარატების, მოწყობილობებისა და მედიკამენტების საშუალებით.
5. კბილების გაწმენდის სტანდარტული პროცედურა უნდა მოიცავდეს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს. ჰიგიენური საშუალებებს შორის ყველაზე მთავარია კბილის ჯაგრისი. ასევე, მნიშვნელოვანია ფლოსი, როგორც პირის ღრუს მოვლის დამატებითი საშუალება.
6. გენეტიკას უდიდესი გავლენა აქვს კბილების ნორმალური განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, პირის ღრუს ინდივიდუალური ჰიგიენა, როგორც ყველაზე ხელმისაწვდომი მეთოდი, საკმარისად ეფექტური კარიესის პროფილაქტიკისათვის.

Miranda Minadze, Laura Nagervadze
Georgia
Grigol Robakidze University
Dentistry programme, IV semester

Oral Hygiene

Scientific supervisor – Associate Professor **Irakli Amiranashvili**

1. Oral hygiene is the path toward a healthy life. Caries is an “enemy” not only for teeth, but it can destroy internal organs and cause destruction of body protection potential.
2. Health of teeth and gum is particularly related to oral hygiene. However, public opinion about this issue is different.

3. Cleaning of teeth regularly and messages of gums improve blood circulation in dental layer and the pulp is provided with enough blood. It also improves odontoplasty feeding.

4. There are two forms of oral hygiene: a) individual that means removing surface stain from teeth and gum by using special recourses and is done by each person; and b) professional that is done by a dentist with appropriate instruments, tools and drugs.

5. Standard procedure of teeth cleaning should contain some important stages. Among the cleaning products the most important one is a toothbrush; floss is also important as good additional means of oral hygiene.

6. Genes has the most important influence on the normal development of teeth. Though, good individual oral hygiene is the most accessible method that is quite effective.

*დავით ყურაშიძე, გურამ ნიპარიშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

ღვიძლის ჰისტოლოგიური თავისებურებანი და C ჰეპატიტი

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. მედიცინის განვითარების მნიშვნელოვანი ტემპების მიუხედავად, XXI საუკუნის დასაწყისში ვირუსული ჰეპატიტები მძიმე და გლობალურ პრობლემად რჩება. ჯმოს მონაცემებით ვირუსული ჰეპატიტით დაავადებულთა რაოდენობა განუხრელად მატულობს. მსოფლიოში ყოველწლიურად ამ დაავადებით ან მისი გართულებით 2 მლნ-მდე ადამიანი იღუპება.

2. ღვიძლი ორგანიზმში ყველაზე დიდი ჯირკვალთა რაოდენობა შეესაბამება მის ფუნქციურ დატვირთვას: ყოველი ჰეპატოციტი ერთდროულად ასრულებს 500-ზე მეტ ფუნქციას. ასეთი ფუნქციური დატვირთვის გამო ღვიძლს თავისებური და რთული ჰისტოლოგიური შენება აქვს.

3. ღვიძლის მორფოფიზიოლოგიური თავისებურებები გავლენას ახდენს მასში მიმდინარე პათოპროცესებზეც. იგი საკმაოდ კარგად და ხანგრძლივად უმკლავდება სხვადასხვა არასასურველ შემოტევებს, მათ შორის C ჰეპატიტსაც.

4. C ჰეპატიტს ჩუმ და ვერაგს უწოდებენ, რადგან ხანგრძლივად, თითქმის უსიმპტომოდ ჩამალული ვირუსი თანდათანობით აზიანებს ორგანოს. ჰეპატიტის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ატყობს ჰეპატოციტების აპოპტოზების ტემპს. აპოპტოზი იმუნოსისტემის ნაწილია: ორგანიზმი დაპროგრამირებულად იცილებს არასაჭირო უჯრედებს და ინარჩუნებს პოპულაციის სრულფასოვნებას. აპოპტოზის ინჰიბირება თუ

სტიმულირება ღვიძლში პათოლოგიის სხვადასხვა ფორმის გამოვლენის მიზეზი შეიძლება იყოს (ციროზი ან სიმსივნე).

5. C ჰეპატიტის გავრცელების მხრივ საქართველოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. მაგრამ 2015 წლიდან დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროგრამა, რომლის მიზანია ამ ვირუსით გამოწვეული ავადობის და სიკვდილიანობის შემცირება, ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია.

David Kurashidze, Guram Niparishvili

Georgia

Grigol Robakidze University

Dentistry programme, VI semester

Liver Histopathology and Hepatitis C

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabuli**

1. Despite the development of medicine, viral hepatitis remains a severe and global challenge in XXI century. According to WHO, the number of individuals infected with viral hepatitis is increasing steadily and annually; over 2 million patients die from those infections or related complications.

2. Liver is the largest gland in the human organism and its size reflects the functions it performs: each hepatocyte performs over 500 functions. Due to this functional complexity, liver has a peculiar and complex histological composition.

3. Morpho-physiological characteristics of a liver influence pathological processes that it undergoes. It manages to resist infections, including Hepatitis C for a long time.

4. C hepatitis is often called a silent killer since this infection damages a liver for a long period of time without any obvious symptoms. The speed of hepatocytes apoptosis plays an important role in the development of hepatitis. Apoptosis is a part of the immune system: the body is programmed to reject unnecessary cells and maintain a fully functional population. Inhibition or stimulation of apoptosis can be a cause of the manifestation of different liver pathologies (cirrhosis or tumors).

5. Prevalence of Hepatitis C is higher in Georgia than in Western Europe and Central Asia. Starting from 2015, Georgia has launched a Hepatitis C elimination program, which is unprecedented and aims to reduce morbidity and mortality as the result of this disease and prevent new cases.

მარიამ ბაისონაშვილი
საქართველო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რუსული ფილოლოგია
ბაკალავრიატი, IV სემესტრი

სტრესი და სტრეს ფაქტორები

1. შესავალი: სტრესი არის ნერვული დაძაბულობა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით.
2. სტრესის ფაქტორები - სტრესი შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა მოვლენამ, ფაქტმა, ცნობამ, ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმის შეცვლამ.
3. მიზანი: სტრესი და ადამიანი - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სტრესი სხვადასხვა სიმპტომებითა და ინტენსივობით ვლინდება, თუმცა ყველა შემთხვევაში ის ერთნაირად უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთლობაზე. ხანმოკლე და ქრონიკული სტრესი-ხანმოკლე სტრესი არ არის სახიფათო, ამ დროს ხდება ორგანიზმის შინაგანი ძალების მობილიზაცია.თუ სტრესული ფაქტორების მოქმედება გახანგრძლივდა და გადააჭარბა ორგანიზმის ადაპტოგენურ შესაძლებლობებს, დგება ე.წ. „გამოფიტვის“ სტადია.
4. სტრესული ფაქტორების ხანგრძლივი მოქმედების შედეგები - გაძლიერებული ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა, არასაკმარისი ძილი, ავადმყოფობა, ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბი მოხმარება, აქვეითებს ორგანიზმის გამძლეობას სტრესისადმი. დადასტურებულია, რომ სტრესი შემთხვევათა 80%-ში იწვევს გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, კუჭ-ნაწლავის, შარდ-სასქესო, ენდოკრინული და სხვა ორგანოთა სისტემების დაავადებას.
5. სტრესის ყველაზე ხშირი გამოვლინება - ადამიანის ორგანიზმზე სტრესული ფაქტორების მოქმედების ყველაზე ხშირი გამოვლინებაა დეპრესია, შფოთვა და უძილობა.
6. დასკვნა: სტრესის მართვა - საყურადღებოა, რომ ყოველდღიური მცირე ფიზიკური აქტივობა ბევრად შედეგიანია, ვიდრე კვირაში ერთხელ დიდი დატვირთვით ვარჯიში. ასევე უმჯობესია სწრაფი ნაბიჯით სიარული ან ძუნძულით სირბილი დიდ მანძილზე, ვიდრე მცირე მანძილის სწრაფად გარბენა.
7. რჩევები სტრესის დროს - შეეცადეთ თქვენს საძინებელში კარგად ბნელოდეს, არ აღწევდეს გარე განათების შუქი, რადგან ღამით, სრულ სიბნელეში მელატონინი სამჯერ დიდი რაოდენობით წარმოიქმნება, ვიდრე დღის განმავლობაში.

Mariam Baisonashvili
Georgia

Stress and Stress Factors

1. Introduction: Tension under stress is caused by the influence of different kind of physical and psychological factors.
2. Stress factors – stress may be caused by any factor, notification, changing of everyday lifestyle.
3. Purpose: Stress and a person - in every particular case stress is displayed with different symptoms and intensity, but it always has negative influence on a person's health.
4. Short-term and chronic stress – short-term stress is not dangerous. During this kind of stress we see mobilization of internal organ strengths. If the action of stress factors extends and exaggerates adaptogenic abilities of an organism, we face the “exhaustion” stage.
5. Results of the influence of long-term stress factors – intensified physical and mental strain, lack of sleep, sickness; addiction to drugs and tobacco makes our organism weak to avoid stress. Researches show that stress mostly causes cardiovascular malformation, gastroenteric upset, schistosomiasis haematobium and other diseases.
5. Stress most frequent reveals as depression, disturbances and insomnia.
6. Conclusion: Stress management – it is important that daily physical activity is more effective than physical workload activity once a week. It is more reasonable to walk quickly or trot long distances than run short distances quickly.
7. Recommendations – you should try to sleep in darkness, because in darkness melatonin formation is three times better than in the daylight.

*თამარ ურუშიძე
საქართველო
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მედიცინა
ბაკალავრიატი, IV სემესტრი*

მძიმე ინფექციისა და სეფსისის მკურნალობის თანამედროვე ანტიბაქტერიული მონოთერაპიის დახასიათება: მერონემით (მეროპენემი) მკურნალობის თავისებურებები

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. მძიმე ინფექცია, სეფსისი და სექტიური შოკი წარმოადგენს თანამედროვე ქირურგიული და რეანიმაციული კლინიკის ერთ-ერთ მთავარ და ჯერ-ჯერობით ბოლომდე გადაუჭრელ პრობლემას.
2. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლაა ზემოჩამოთვლილი პათოლოგიური პროცესების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, გამოქვეყნებულია მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები და მკურნალობის სქემები, მოწოდებული და დანერგილია განსხვავებული ეკონომიკური შესაძლებლობის ქვეყნებისათვის სეფსისისა და სექტიური შოკის მართვის გაიდლაინები. მიუხედავად ამისა, პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ შორია.
3. მკურნალობის შერჩევისას მნიშვნელობა აქვს სეფსისის განვითარების მიზეზსა და ადგილს, დაავადების სტადიას, ავადმყოფის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს, თანმხლები დაავადების არსებობას და მის რაობას, გენეტიკურ ფაქტორებს. ამიტომ მკურნალობის უნიფიცირებული სქემა არ არსებობს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიდგომა ინდივიდუალურია.
4. ანტიბაქტერიული მკურნალობისათვის ანტიბიოტიკის სწორად შერჩევა მკურნალობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია. როგორც წესი, გამოიყენება რამდენიმე ჯგუფის ანტიბიოტიკის კომბინაცია.
5. მერონემი, რომელიც ბეტა-ლaktამებს მიეკუთვნება (კარბაპენემების ჯგუფი), ამჟამად კლინიკებში გამოყენებულ ანტიბაქტერიულ პრეპარატებს შორის ხაისათდება მოქმედების ფართო სპექტრით, შედარებით დაბალი ტოქსიურობით და იშვიათი გვერდითი მოვლენებით. იგი გამოყენება მაშინ, როცა სხვა ჯგუფის ანტიბიოტიკებით მკურნალობა უპერსპექტივოა. ეფექტურია მონოთერაპიის სახით ან სხვა ანტიმიკრობულ მედიკამენტებთან ერთად.
6. ჩვენ შრომაში განხილულია მერონემით მკურნალობის ჩვენება და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის პრეპარატის დოზირება, მედიკამენტის ხსნარის მომზადების წესები და შეყვანის გზები, აღწერილია ანტიბიოტიკის გამოყენებისას განვითარებული გვერდითი მოვლენები.

Tamar Urushadze

Georgia

Tbilisi State Medicine University

Medicine

Bachelor's programme, IV semester

Treatment of Acute Infections and Sepsis with Modern Monotherapy of Antibiotic: Peculiarities of Treatment with Meronem (Meropenem)

Scientific supervisor – Associate professor **Mania Arabuli**

1. Acute infection, sepsis as well as septic shock is one of the main unsolved problems that modern surgery and intensive care are still facing.
2. Despite the certain progress that has been taking place during the last decades in diagnostics and treatment of the mentioned pathologies, published recommendations and treatment plans, existence of certain guidelines depending on economic criteria of countries to deal with the cases of sepsis and septic shock, final solution has not been found yet.
3. There are a lot of things to consider before choosing a plan for sepsis treatment. These are: reasons of development, location and stage of disease, individual characteristics of body, existence of other disease and genetic factors. Thus, treatment plans for the most cases are individual.
4. In antibacterial treatment choosing the correct antibiotic is crucial. Generally, combinations of different class antibiotics are used.
5. Meronem, which belongs to beta-lactam group of antibiotics (carbapens), is widely used in clinics and is known for its high spectrum of actions, low toxicity as well as low risk for side effects. Meronem is usually used in severe cases of infections where other antibiotics do not stand a chance. It is highly effective when used alone and can also be used in combination with other antibacterial medications.
6. This work reviews how treatment with meronem is done, how it is used with different age groups, how its mixture is made and the ways of its use. It also describes what side effects might develop while using the mentioned antibiotic.

*სალომე ივანიძე
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიის პროგრამა, II სემესტრი*

ატრების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. იმუნური სისტემა ადამიანთან ერთად ყალიბდებოდა ევოლუციის პროცესში. იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურება ჩვენს ორგანიზმს ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში.
2. მოსალოდნელი ინფექციური დაავადებისაგან დასაცავად ხდება ხელოვნური იმუნიტეტის ჩამოყალიბება: აცრა. ვაქცინა პირველად 1796 წ. გამოიყენა ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენერმა ყვავილზე ასაცრელად. მან პირველმა დაადგინა ვაქცინაციის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
3. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ათიათასობით ბავშვი იღუპებოდა წითელას, ყივანახველას, წითურას და დიფტერიის გამო. ვაქცინაციის წყალობით მილიონობით ბავშვისთვის მოხდა დაავადებების პრევენცია. 2012 წლისთვის ამ დაავადებების რიცხვი 99%-ით შემცირდა, გაქრა პოლიომიელიტი.
4. აცრის დადებით მნიშვნელობასთან ერთად ვრცელდება ინფორმაცია უარყოფითი მხარეების შესახებაც: აცრას შეიძლება მოყვეს უარყოფითი და ზოგჯერ ლეტალური შედეგები. ექიმების ნაწილი ამტკიცებს, რომ ბუნებრივად გადატანილი დაავადება ბევრად უფრო აძლიერებს იმუნიტეტს, ვიდრე აცრა.
5. ზოგიერთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევები მიუთითებენ, რომ აცრებს შეიძლება ჰქონდეს გვერდითი მოვლენები. აცრილ ბავშვებში გაცილებით ხშირად ფიქსირდება ასთმის, ალერგის, ოტიტის, ტონზილიტის, სურდოს, ეპილეფსიისა და აუტიზმის შემთხვევები, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომის. თუმცა ამ შედეგების უმრავლესობა შემდგომში გაბათილდა.
6. მიუხედავად აცრებთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენებისა, მათი პროტექტორული ეფექტი მნიშვნელოვნად აჭარბებს შესაძლო ნეგატიურ გავლენას.

Salome Ivanidze

Georgia

Grigol Robakidze University

Dentistry programme, II semester

Positive and Negative Sides of Vaccination

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabuli**

1. An immune system is developed in the process of human evolution. In the human lifespan, it serves to maintain homeostasis in the human organism.
2. In order to protect ourselves from some potential infectious diseases, we can currently assist human organism by developing artificial immunity through vaccination. Vaccination was first

used in 1796 by the British doctor Edward Jenner against smallpox. He was the first to prove the importance of vaccination for the human organism.

3. In the 60s thousands of children died from measles, mumps, rubella and diphtheria. However, thanks to vaccination, those diseases are now prevented in millions of children. By 2012, number of cases of those infections was reduced by 99%. Poliomyelitis was eradicated.
4. Besides the positive impact of vaccination, information about its negative sides is also discussed. Those include complications and even fatality. Also, some doctors argue that naturally occurring infections ensure the development of proper immunity and not the vaccination.
5. There is some evidence about negative/adverse sides of vaccination: children who undergo vaccination might have increased risk of asthma, allergies, otitis, tonsillitis, sinusitis, epilepsy and autism, attention deficiency and hyperactivity. Though, most of them were proved wrong.
6. Nevertheless, those reported adverse and negative sides even associated with vaccination are significantly outweighed by their positive protective impact.

*ალექსანდრე ცოტნიაშვილი, გიორგი ნადირაშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიის პროგრამა, II სემესტრი*

ჰაერის დაბინძურება და მისი შედეგები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ატმოსფერო და მისი შედგენილობის შედარებითი მუდმივობა. ატმოსფერო რთული ფიზიკურ-ქიმიური სისტემაა, რომელიც ურთიერთქმედებაშია დედამიწის ზედაპირთან, ოკეანესა და ბიოსფეროსთან. მისი შედგენილობა განუწყვეტლივ იცვლება.
2. ატმოსფეროს შემადგენლობის ცვლილება განსაკუთრებით შეინიშნება XX საუკუნის შუა პერიოდიდან, რაც გარემოზე ტექნოგენური ფაქტორების ზემოქმედებით არის გამოწვეული.
3. ატმოსფეროს დაბინძურება მძიმე ეკოლოგიური პრობლემაა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე: იწვევს ალერგიას, ბრონქიტს, პნევმონიას, ზრდის სიმსივნეებით და თანდაყოლილი ანომალიებთ დაავადებულთა რიცხვს.
4. არსებობს გარემოს დაბინძურების ორი გზა: ბუნებრივი და ანთროპოგენული.

5. ეს პრობლემა საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. უკანასკნელ წლებში სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილის გაჩერების შედეგად გაიზარდა ჰაერის დაბინძურებაში ავტოტრანსპორტის წილი. ქვეყნის რელიეფური პირობები, პარალელური სატრანსპორტო მაგისტრალების არარსებობა, დასახლებულ ადგილებში ავტოტრანსპორტის მჭიდრო ნაკადები მავნე ნივთიერებებით ჰაერის დაბინძურების მაღალ დონეს განაპირობებენ.

6. ბოლო წლების მონაცემებით, მნიშვნელოვან პრობლემად იქცა ატმოსფერული ჰაერის ტყვიით დაბინძურება. თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე მცხოვრებ პირთა უმრავლესობის შარდსა და თმაში ტყვიის საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია აღმოაჩნდა.

7. გარემოს დაბინძურება ჯანსაღი პროცესია, ამიტომ მისი შეჩერება ძალზედ რთულია, თუმცა შეუძლებელი არ არის. ადამიანის მიერ გამოწვეული ამ ზიანის აღკვეთა ყველა ჩვენგანის ვალია.

Aleksandre Tsotniashvili, Giorgi Nadirashvili
Georgia
Grigol Robakidze University
Dentistry programme, II semester

Air Pollution and Its Results

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabuli**

1. One of the preconditions of life on the earth is the atmosphere and relative stability of its composition. The atmosphere is a complex physical and chemical system that interacts with the surface of the earth, ocean, and biosphere. Its composition changes constantly.
2. The composition of the atmosphere started to change more rapidly since mid-20 century which was caused by the impact of the technological factor.
3. Pollution of the atmosphere is a major ecological problem that has a negative impact on human health: it causes allergies, bronchitis, increases a risk of cancer and congenital anomalies.
4. There are two major ways of pollution: natural and anthropogenic.
5. This issue needs a special attention in Georgia. Although, in the past years number of major plants closed down, but the pollution caused by cars increased. Our country' geographical landscape, no parallel highways and high density of traffic cause a high level of pollution.
6. According to the data collected in the recent years, pollution of the atmosphere with lead has increased. Individuals who reside close to major routes in Tbilisi have a high concentration of lead in hair and urine.

7. Environmental pollution is a chain reaction and it is very difficult to stop this process, although this is not impossible. It is our responsibility to eliminate harm caused by humans to the environment.

*მარიამ აფშილავა
საქართველო
გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიური პროგრამა, II სემესტრი*

ინტელექტის პრობრუსირებადი დაქვეითება

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. ალცჰაიმერის დაავადება ანუ, დეგენერაციული დემენცია, წარმოადგენს ტვინის ტემპორალური და პარიეტალური ნაწილების დაავადებათა კრებულს. დაავადება ხასიათდება ინტელექტის პროგრესირებადი დაქვეითებით.
2. ალცჰაიმერის დაავადება წარმოადგენს შექენილი ჰკუასუსტობის (დემენციის) ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ამ დროს ხდება ტვინის ატროფია, მოცულობისა და წონის შემცირება, ასევე - ქერქის ხვეულების განღვება, ქერქის ღარებისა და პარაკუჭების გაფართოება. ნევროლოგიური სიმპტომების მრავალფეროვნება თავის ტვინის სხვადასხვა უბანში დისპროპორციული ნეირონული დეგენერაციით არის განპირობებული.
3. დასავლეთში ადამიანის სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს შორის, ალცჰაიმერის დაავადება რიგით მეოთხე პათოლოგიაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, სიმსივნისა და ტვინის ინსულტის შემდეგ. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2006 წლისთვის მთელ მსოფლიოში ალცჰაიმერით დაავადებული 26,6 მილიონი კაცი იყო აღრიცხული, 2050 წლისთვის კი მოსალოდნელია ამ რიცხვის გაოთხმაგება.
4. ალცჰაიმერის დაავადების ზუსტი მიზეზი უცნობია, იგი მონოგენურ დაავადებებს მიეკუთვნება, ანუ მემკვიდრეობით გადაეცემა და ახასიათებს ქრონიკული და პროგრესული მიმდინარეობა.
5. დღესდღეობით ტარდება მრავალრიცხოვანი კვლევები, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ გაირკვეს ვირუსული ინფექციის, მემკვიდრეობითი განწყობის, პათოლოგიური იმუნური რეაქციების, გარემო ფაქტორებისა და ტოქსიური ნივთიერებების როლი დაავადების განვითარებაში.
6. ალცჰაიმერის დაავადების მკურნალობით ნელდება პროცესის პროგრესირება, მაგრამ უკუგანვითარება, სამწუხაროდ, შეუძლებელია.

Mariam Apshilava
Georgia
Grigol Robakidze University
Dentistry programme, II semester

Progressive Decline of Intellect

Scientific supervisor – Associated Professor **Mania Arabuli**

1. Alzheimer's disease or degenerative dementia is a collection of the diseases of brain's temporal and parietal parts. The disease is characterized by progressive decline of intellect.
2. Alzheimer's disease is the most spread form of the acquired dementia. The following symptoms are characteristic for this disease: cerebral atrophy, loss of volume and weight, also deletion of the cortex coils, expansion of cortex canals and ventricles. Multiplicity of neurological symptoms in different regions of the brain is conditioned by disproportional neuronal degeneration.
3. In western countries, among the causes of human's death, Alzheimer's disease is the fourth pathology after cardio-vascular diseases, tumor and cerebral stroke. According to the data of Health Care World Organization, in 2006 there are registered 26,6 million people diseased with Alzheimer. This number may be expanded four times for 2050.
4. The exact reason of Alzheimer's disease is not known. It belongs to monogenic diseases, i.e. it is inherited disease and has chronic and progressive course.
5. At present, the multiple researches are conducted which are focused on clarification of the role of virus infection, hereditary disposition, pathological immune reactions, enviromental factors and toxic substances in the development of disease.
6. The progress of the process is slowing down by treatment of Alzheimer's disease, but unfortunately, the regression is not possible.

ნინო ზუკაკიშვილი
საქართველო
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მედიცინა
ბაკალავრიატი, II სემესტრი

სიბერე

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. სიბერე რთული ბიოლოგიური პროცესია. იგი ორგანიზმში უჯრედულ დონეზე იწყება, ფიზიოლოგიურად კი მოგვიანებით ვლინდება ორგანოთა სისტემის დონეზე, როგორც განუწყვეტელი ბიოლოგიური ცვლილებების შედეგი.
2. ეს პროცესი სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. თუმცა, დღემდე არსებობს კითხვა, თუ რატომ წყვეტს ყოველი მათგანი თითქმის ერთდროულად ფუნქციონირებას.
3. სიბერის ასახსნელად შემუშავებულია 300-ზე მეტი თეორია. მათ შორის აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის, დილმანის „დიდი ბიოლოგიური საათის თეორია“. რომლის მიხედვითაც ყოველ ორგანიზმში ჰომეოსტაზის რეგულაციას აკონტროლებს სიბერის ნეიროენდოკრინული ბიოსაათი. ასევე საყურადღებოა „უჯრედის დაბერების თეორია“, დაბერების გენრეგულატორული და ნეიროჰუმორული მექანიზმები, ფიზიოლოგიური, მოლეკულური და თავისუფალი რადიკალების თეორიები.
4. არსებობს უჯრედის დაბერების განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორცაა: ტელომერული პროცესები, ცილების სინთეზის დაქვეითება, თავისუფალი რადიკალების დაგროვება, უჯრედის სტრუქტურული დაზიანება, ენერგეტიკული ცვლილებანი, ზრდის ჰორმონის დეფიციტი და გენეტიკური ფაქტორები.
5. სიბერეს გარეგანი მიზეზებიც განსაზღვრავს, რომლებიც ძირითადად არასწორი ცხოვრების რეჟიმზე მიგვითითებს. მაგალითად, თამბაქოს წევა, ალკოჰოლური სასმელები, არარეგულარული კვება და ა.შ. მათი არასასურველი ზემოქმედება ორგანოების მორფოლოგიასა და მუშაობაზეც აისახება.
6. არსებობს მოსაზრება რომ, მრავალუჯრედიან ორგანიზმის უჯრედებში მიმდინარე ყველა ასაკობრივ ცვლილებაზე პასუხისმგებელია ცენტრიოლები, რომლებიც უჯრედის დაყოფაში მონაწილეობენ და ითვლიან მათ. დაყოფათა რიცხვითი ჯერადობა კი მკაცრად არის განსაზღვრული. თუ მოხერხდება დიფერენცირებულ უჯრედებში ცენტრიოლების დაზიანება, შეიძლება უჯრედები უკვდავნი გახდნენ.

Nino Zukakishvili

Georgia

Tbilisi State Medical University

Medicine

Bachelor' programme, II semester

Aging

1. Aging is a complex biological process. It starts at a cell level and physiological signs only manifest at a later stage on the level of organ systems. It is a continuous process of biological changes.
2. This process has different intensity level in different systems. However, it is still not clear why all systems cease to function approximately at the same time.
3. There are over 300 theories that explain aging. One of those theories was developed by the American scientist Dilman and is known by the name of "Big Biological Clock Theory". According to this model, in every organism homeostasis is regulated by the neuroendocrine biological clock. Other important theories include "Cell Aging Theory", gene-regulatory and neurohormonal mechanisms of aging, physiological, molecular and free radicals theories.
4. There are a number of factors that define cell aging. Those include telomeric processes, reduced protein synthesis, accumulation of free-radicals, structural damage of cells, energy level changes, growth hormone deficiency and genetic factors.
5. Aging is also defined by the external factors which include unhealthy lifestyle, such as smoking, alcohol consumption, irregular eating, etc. They negatively impact morphology and functioning of organs.
6. There is also an opinion that aging processes in multi-cell organisms are defined by the centrioles that take part in cell division and count them. The number of divisions/multiplications is strictly controlled. If centrioles are damaged in the cells, those cells might become immortal.

*ნინო იაკობიშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიის პროგრამა, IV სემესტრი*

კბილის კარიესი და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობები

ხელმძღვანელი – პროფესორი **მარინა შაქარაშვილი**

1. კბილი ძვლოვანი ორგანოა, რომლის ძირითადი ფუნქცია საკვების მექანიკური დამუშავება და ბგერის წარმოქმნაში მონაწილეობაა, გარდა ამისა, კბილები ადამიანის ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს.

2. კარიესი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება - მისი სიხშირე კონკრეტულ პოპულაციაში შეიძლება იყოს 90-100%. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფებში კარიესი შეიძლება საერთოდ არ გვხვდებოდეს. კარიესის გავრცელების სიხშირე დამოკიდებულია ასაკზეც.
3. კბილის კარიესი კბილის მაგარ ქსოვილებში მიმდინარე რთული პათოლოგიური პროცესია, რომლის განვითარებაში მონაწილეობენ გარეგანი და შინაგანი, აგრეთვე ადგილობრივი და ზოგადი ფაქტორები.
4. კბილის კარიესი იწყება მინანქრის არაორგანული ნაწილის დემინერალიზაციით და მისი ორგანული მატრიქსის დაშლით, ხოლო მთავრდება კბილის მაგარი ქსოვილების დესტრუქციით და კარიესული ღრუს ჩამოყალიბებით. სათანადო მკურნალობის გარეშე ვითარდება გართულებები: პულპიტი და პერიოდონტიტი.
5. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულია კარიესის ფორმებისა და განვითარების სტადიების კლასიფიკაცია. შემუშავებულია დიაგნოსტიკის სქემა და აღმოჩენილია ასევე ახალი მკურნალობის მეთოდები.
6. აღსანიშნავია, რომ კარიესის განვითარების მიზეზებს შორის საყურადღებოა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ჯამრთელობის ზოგადი მდგომარეობა, სასმელი წყლის შემადგენლობა, კარიესოგენული პროდუქტების მიღების სიხშირე და რაოდენობა, თამბაქოს მოხმარება და სხვა, რომელთა მოგვარება საერთო საზოგადოებრივ პრობლემასაც წარმოადგენს.

Nino Iakobishvili

Georgia

Grigol Robakidze University

Dentistry programme, IV semester

Tooth Caries and the Conditions of Its Development

Scientific supervisor – Professor **Marina Shakarashvili**

1. Tooth is the bony organ the main function of which is mechanical processing of food and participation in the sound formation. Besides, teeth are a human's aesthetical value.
2. Caries is one of the most widespread diseases – its frequency per particular population can be about 90-100%. It should be mentioned that in some ethnic groups caries cannot be observed at all. The frequency of caries prevalence depends on also age.
3. Tooth caries is the pathologic process, progressing in hard tissue of a tooth. Internal and external factors as well as local and general ones cause caries development.

4. Tooth caries begins with the demineralization of the enamel`s inorganic part and dissolution of its organic matrix and ends with destruction of tooth`s hard tissue and formation caries cavity. Without proper treatment, pulpitis and periodontitis will definitely be developed.

5. The World Healthcare Organization has presented the classification of caries forms and development stages. The diagnostics scheme has already been worked out and the new methods of treatment have been found out.

6. Among the reasons causing caries development the following is noteworthy: social-economic status of population, general health conditions, composition of drinking water, frequency and amount of taking cariogenic products, smoking tobacco, etc., settling of which is a social problem.

*მარიამ მოისწრაფეშვილი
საქართველო
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიის პროგრამა, VI სემესტრი*

კბილების გაძნელებული ამოჭრა

ხელმძღვანელი – გალაქტიონ მახვილაძე

1. კბილის რეტენცია - კბილის ამოჭრის ანომალია, ყბის ძვალში კბილის შეჩერება. რეტენირებული კბილი არის ისეთი კბილი, რომლის ამოჭრაც ვერ ხერხდება, რადგან მათ არ აქვთ ადგილი კბილთა მწკერივში. რეტენციის მიზეზი შეიძლება იყოს ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ინფექციური, მძიმე დაავადებები, ფარისებრი, ფარისებრახლო და ჰიპოფიზის ფუნქციის დარღვევა. რეტენციის ორი სახე არსებობს: 1. სრულია, როდესაც კბილი მთლიანად დაფარულია ყბის ძვლით ან ღრძილით, 2. არასრულია, როდესაც კბილი ნახევრადაა ამოჭრილი.

2. სიბრძნის კბილები და ეშვები ის კბილებია, რომლებიც გაძნელებულად, გართულებებით ამოიჭრებიან.

3. სიბრძნის კბილი, რიგით მესამე მოლარია, რომელის 18-25 წლის ასაკში ამოიჭრება, მოსახლეობის 92%-ს ოთხივე მოლარი ამოეჭრება, აქედან 78% გართულებებით, ხოლო 9%-ში საერთოდ არ ამოიჭრება. ხშირად მათი მდებარეობა არასწორია. ამის მიზეზი სარძევე წინამორბედების არარსებობაა. ამოჭრა ისეთ პერიოდში იწყება, როცა ყბის ძვლოვანი ქსოვილი ჩამოყალიბებულია.

4. სიბრძნის კბილის არასწორმა მდებარეობამ შეიძლება გამოიწვიოს პერიოკორონარიტი - კბილის ირგვლივ მდებარე ქსოვილების ანთება. ასევე, შეიძლება გამოიწვიოს დისტოპია - კბილის ატიპური მდგომარეობა, სიბრძნის კბილისა და მეზობელი კბილის კარიესი, კბილთა მწკერივის დეფორმაციები და შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მიმდებარე მიდამოების აბსცესი და ფლევმონა.

5. მერვე კბილს დღეს ზედმეტად თვლიან, თუმცა ამოღებამდე საჭიროა სათანადო გამოკვლევების ჩატარება. ზოგჯერ რეტენირებული ან ნახევრად რეტენირებული კბილი პროთეზირებისთვის კარგი საყრდენი შეიძლება იყოს. მისი ამოღება რეკომენდირებულია, თუ ამოჭრის მიმართულება ირიბია და აწვევა გვერდით კბილს. თუ ამოჭრის მიმართულება სწორია, საკმარისია გვირგვინის თავზე არსებული ძვლოვანი და ლორწოვანი ქსოვილების მოშორება ამოჭრის გასაადვილებლად. ამ პროცედურას ქუდაკის მოკვეთა ანუ კაპიშონექტომია ეწოდება.

6. რეტენირებული ეშვის ამოღება იმ შემთხვევაში დასაშვებია თუ მისი ორთოდონტიულად ამოწვევა შეუძლებელია.

Mariam Moistsrapeshvili
Georgia
Grigol Robakidze University
Dentistry programme, VI semester

Complications while Teeth Eruption

Scientific supervisor – **Galaktion Makhviladze**

1. Tooth retention is an anomaly of tooth eruption. It is a case when a tooth stops in jaw bone. Retained tooth is a tooth which cannot be erupted, because there is no place for it in the teeth alignment. Retention can be caused by metabolic disorders, infectious diseases, severe diseases, thyroid, parathyroid, pituitary dysfunction. There are two kinds of retention: 1) complete, when a tooth is covered with the gingival or jaw bone, 2. incomplete, when a tooth is half erupted.

2. Wisdom teeth and fangs erupt with great difficulty.

3. Wisdom tooth is the third molar which erupts when a person is 18-25. 92% of all four molars erupts, some complications are observed in 78%, and no eruption occurs in 9%. Often teeth erupt in a wrong place what is caused by the absence of milk teeth. Eruption period begins when the jaw bone is already formed.

4. Wrong location of a wisdom tooth can cause: periocoronaritis - inflammation of tooth surrounding tissue, dystopia - atypical state of a tooth, caries of a wisdom tooth and the neighboring tooth, deformation of teeth alignment and abscess and phlegmon of the surrounding areas.

5. Some people think that the eighth tooth is an accessory tooth; however, proper examination should necessarily be carried out before its extraction. Sometimes, a retained or half retained tooth can be a good buttress for tooth prosthetics. Its extraction is recommended if the eruption direction is indirect and pushes the lateral tooth. If the eruption direction is correct, it is enough to crown the top of the bone and mucous tissues to facilitate this process. This procedure is called pericoronal gingivectomy.

6. Retained fang extraction is allowable if its orthodontic rise is impossible.

*ქეთი ჩხაიძე, ქეთევან კობახიძე
საქართველო
გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
სტომატოლოგიური პროგრამა, II სემესტრი*

ანტიბიოტიკები და მათი უსისტემოდ გამოყენებისთან მომდინარე საფრთხეები

ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მანია არაბული

1. ანტიბიოტიკი ბაქტერიის საწინააღმდეგო პრეპარატია. ის აფერხებს ბაქტერიის ზრდა განვითარებას ან საერთოდ ანადგურებს მათ. სამკურნალოდ მათი შერჩევას ექიმი ითვალისწინებს დაავადების გამომწვევი მიკრობის ბუნებას, დაავადების მიმდინარეობას, ავადმყოფის ორგანიზმის თავისებურებას. ვირუსებზე ანტიბიოტიკები არ მოქმედებს.
2. პირველი ანტიბიოტიკი, რომელმაც ნამდვილად შეცვალა კაცობრიობის ისტორია და მედიცინაში გადატრიალება მოახდინა, ფლემინგის მიერ აღმოჩენილი პენიცილი გახლდათ. დღეს კი ასზე მეტი სახეობის ანტიბიოტიკია ცნობილი, რომელსაც რამდენიმე კლასად ყოფენ.
3. გასულ საუკუნეში ექიმები ანტიბიოტიკებს წარმატებით იყენებდნენ ყოველგვარი ინფექციური დაავადების სამკურნალოდ. ანტიბიოტიკების წყალობით კაცობრიობამ მრავალი ინფექციური დაავადება დაამარცხა.
4. თუმცა თავი იჩინა სხვა პრობლემამ – დაიწყო ამ პრეპარატების მასობრივი და, ხშირად სრულიად დაუსაბუთებელი გამოყენება. რამაც გამოიწვია რეზისტენტული სტამების გავრცელება. ანტიბიოტიკები აღარ მოქმედებს ახალ შტამებზე და უფრო რთული მედიკამენტების გამოგონება უწევთ.

5. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ყოველდღე იზრდება იმ მიკრობების რიცხვი, რომლების ერთდროულად რამდენიმე სახის ანტიბიოტიკისადმი ამჟღავნებდნენ შეუვალობას.
6. ანტიბიოტიკების გადაჭარბებულ გამოყენებას ხშირად მოყვება გვერდითი ეფექტებიც. ანტიბიოტიკისადმი რეზისტენობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა ბავშვებში, მათ რეზისტენობა ხშირად მშობლებისგან გენეტიკურად გადაეცემათ.
7. ანტიბიოტიკების არამიზნობრივი გამოყენების პრობლემის მოგვარებაში დიდი როლი ითამაშა რეცეპტული სისტემის შემოღებამ, რაც ხელს უშლის თვითმკურნალობის მიზნით პრეპარატების შექენას.

Keti Chkhaidze, Ketevan Kobakhidze
Georgia
Grigol Robakidze University
Dentistry programme, II semester

Antibiotics and Threats of their Irrational Use

Scientific supervisor – Associate Professor **Mania Arabuli**

1. Antibiotics are antibacterial drugs. They inhibit the growth of bacteria or eliminate them. When prescribing, a doctor bases the choice of specific antibiotics on the type of microbe, the course of the disease, peculiarities of a patient's organism and others.
2. The first antibiotic was Penicillin. It was discovered by Fleming and this discovery equals to the revolution in the history of medicine and mankind. Nowadays, there are over hundred different types of antibiotics which are divided into different classes.
3. In the past century, doctors used antibiotics successfully to treat different types of infectious diseases. Antibiotics allowed the mankind to eradicate a number of diseases.
4. However, a new problem has emerged – those drugs have been used widely and often irrationally. This has caused emerging resistance – prevalence of resistant strain of bacteria has increased. Since antibiotics cannot fight resistant strains, there is a need to invent new drugs.
5. It is especially alarming that the number of such resistant strains is increasing daily, and some of them show resistant to different classes of antibiotics.

6. Overuse of antibiotic is also associated with side effects. Antibiotics resistance is especially problematic in children and the cause is the incorrect prescription of those drugs, or resistance can be genetic and pass from parents to a child.

7. The introduction of mandatory prescription system plays an important role in fighting the irrational use of antibiotics as it prevents self-treatment.